# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 26 ივლისი 2007 №170 (3093)

ფასი 50 თეთრი


## შალკე ასათიანს ამაოდ მიუბრუნდა

### რუსებმა 7 მილიონი დოლარი იუარეს



## ბინძური დარტყმა მტკივნეულ ადგილზე

### ყაზახეთმა საქართველოს ტერიტორიები ჩამოაჭრა!




## ქართული კალათბურთის დღე

### გუშინ ყველამ მოიგო: დიდიან-პატარიანად



ბულგარეთში „ვივატელის თასზე“ გამოსვლა საქართველოს ნაკრებმა დანიის 88:68 ძლევით დაასრულა. კენ შილდსის გაწვრთნილმა ქართველებმა ბულგარეთში სამი თამაშიდან მეორე მოიგეს და მასპინძლებთან სადებიუტო შეხვედრაში 32-ქულიანი მარცხის შემდეგ წახდენილი გუნება გამოიკეთეს.

საუკეთესო კვლავ ზაზა ფაჩულია იყო, რომელმაც 34 წუთში 37 ქულა ჩაუგდო დანიელებს და სათადარიგო მოთამაშეთა დახმარებით მეტოქეს შანსი არ დაუტოვა.

24 ივლისი ზოგადად წარმატებული გამოდგა ქართული კალათბურთისთვის. საბერძნეთში ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოთამაშე კადეტთა ნაკრებმა ისრაელს მოუგო.

ჩვენი კადეტები მთელი შეხვედრის განმავლობაში აგებდნენ ებრაელ თანატოლებთან, ბოლო მეოთხედის წინ მათ 10 ქულით ჩამორჩებოდნენ, თუმც ბოლოს 82:75 ქართველებმა იძალეს.

## ზაზა ფაჩულია ისევ ზაზა ფაჩულია იყო!



# ლოკომოტივი დაცვამ შეაშინა

**თბილისის** „ლოკომოტივი“ ახალი სეზონისთვის კი ემზადება, მაგრამ, როგორც ჩანს, გუნდში სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია.

მორიგი ტესტ-მატჩი „ლოკომოტივმა“ საკუთარ ბაზაზე „ნორჩ დინამოელთან“ გამართა და 3:3 დაუზავდა.

შეხვედრა ორმხრივ შეტევებში წარიმართა. პირველლიგელებმა ტოლი არ დაუდეს უმაღლესლიგელ მეტოქეს. ეს კი არა, მამუკა სვანაძის შეგირდები სამივეჯერ იგებდნენ.

პირველ ტაიმში „ლოკომოტივის“ თავდასხმა აქტიურობდა, რამდენიმე საგოლე მომენტი გაუშვა ხელიდან და დაცვაშიც ეტყობოდა სისუსტეები. თუ მომენტები ლოკომოტიველმა მიხეილ ჟღენტმა, გიორგი მიქაძემ და გიორგი გულორდავამ გააცუდეს, მეტოქეთაგან იგივე ტორონჯაძემ ორჯერ მოახერხა. სამაგიეროდ, გოგოხიამ არ აპატია დაცვას შეცდომა, გვარამაძესთან პირისპირ დარჩენილმა მეკარე იოლად მოატყუა და ცარიელ კარში გაიტანა.

„ლოკომოტივს“ დაცვაში რომ პრობლემები ჰქონდა, მეორე ტაიმშიც ნათლად გამოჩნდა. „ნორჩ დინამოელს“, სულ ცოტა, ხუთჯერ შეექმნა ასპროცენტიანი მომენტი და ორჯერ იხეირა — ორჯერვე თავი კურტანიძემ გამოიჩინა.

სამაგიეროდ, „ლოკომოტივის“ შეტევა გაცილებით აზრიანი გახადა შეცვლაზე შესულმა ლევან ყენიამ. მისმა მახვილგონივრულმა თამაშმა გუნდი უფრო დაალაგა და „ლოკომოტივმაც“ სამჯერ გაიტანა — მიქაძემ ჰეთ თრიქი შეასრულა.

ნამატჩევს „ლოკომოტივის“ მწვრთნელმა გიორგი კიკნაძემაც შეცდომებზე ისაუბრა: „გუნდმა წინა მატჩები გაცილებით უკეთ ჩაატარა, დღეს ბევრი შეცდომა დავუშვით, განსაკუთრებით დაცვაში, თუმც ჩემპიონატის დაწყებამდე ჯერ კიდევ დროა და შევეცდებით, ეს ხარვეზები აღმოვფხვრათ... აგვისტოს ბოლომდე სატრანსფერო ფანჯარა ღიაა, თუ ჩვენთვის სასურველი და ხელმისაწვდომი ფეხბურთელი გამოჩნდა, დავიმატებთ. ისე, ჯერ ამაზე არ ვფიქრობთ... 28 ივლისს კიდევ ერთი საკონტროლო მატჩი გვაქვს „ოლიმპიკთან“, შევეცდებით, უკეთესი თამაში ვაჩვენოთ...“

ამ მატჩში კი „ლოკომოტივის“ შემადგენლობა ასეთი იყო: *გვარამაძე, დ. ფოფხაძე, გუმბარაშვილი, გ. კახაძე (ქუხილავა), მალიჩავა, ლალაძე, სამხარაძე, გულორდავა (მარდაქაძე) ჟღენტი (ყენია), მიქაძე.*

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# სიონმა და მერანმა ერთმანეთი მოძებნეს

**საქართველოს** ჩემპიონატის ორი უმაღლესლიგელი, ბოლნისის „სიონი“ და თბილისის „მერანი“ შეკრებაზე ურეკში არიან და სასპარინგოდ ერთმანეთზე უკეთესს ვის მოძებნიდნენ.

თამაში ბოლნისელთა გამარჯვებით დასრულდა — 3:2. სიონელთაგან თავი ბესიკ ქარდავამ (პენალტით), ზვიად ქუთათელაძემ და დავით სვანიძემ (პენალტით) გამოიჩინეს, მერანელთაგან კი ბექა და არჩილ ნოზაძეებმა.

ბოლნისელებს ამ მატჩისთვის 2 ფეხბურთელი აკლდათ — კამერუნის ახალგაზრდულ ნაკრებში გამოძახებული ერიკ რომეო ჩასემი და აზერბაიჯანში გასინჯვაზე მყოფი ვლადიმერ უგრეხელიძე.

გუნდებმა ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს:

*სიონი: ბობლიაშვილი, სვანიძე, ფრიდოლინი, ლ. ჭელიძე, რაქვიაშვილი, სანიკიძე, ოქროპირიძე, ლ. ბაჯელიძე, ბუცხრიკიძე, ქუთათელაძე, ქარდავა.*

*შეცვლაზე შევიდნენ: გ. იაშვილი, კვიტაიშვილი, კვიციანი, რეხვიაშვილი, პაპუაშვილი.*

*მერანი: სეფიაშვილი, მჭედლიშვილი, ლომაშვილი, კილასონია, ჯანგიძე, კ. ავალიანი, ტყეშელაშვილი, თ. ავალიანი, ბ. ნოზაძე, სევასტოპულო, ა. ნოზაძე*

*შეცვლაზე შევიდნენ: ქემაშვილი, სარალიძე, ფურთუხია, დეისაძე.*

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ქართული კვალი მაკედონიაში

**ქართველი** მსაჯები, გიორგი ვადაჭკორია, ზურაბ ჯვარიძე და ლევან მიქელაძე 2 აგვისტოს მაკედონიაში უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩს განსჯიან — მაკედონიური „რაბოტნიჩკი“ შინ სლოვენიურ „გორიცას“ ხვდება.

პირველი მატჩი მაკედონიელთა გამარჯვებით დასრულდა — 2:1.

**ქახა ზალამბერიძე**

# სიმურგის არჩევანი: სამი ქართველი ექვს უკრაინელში

**თბილისის** „ლოკომოტივის“ ბაზაზე საწვრთნელ შეკრებას გადის ზაქათალის „სიმურგი“. აზერბაიჯანულ გუნდში სამი ქართველი ფეხბურთელი ისინჯება — ზურაბ შველიძე, დავით მალლაფერიძე და ლაშა ნეფარიძე.

სამივე მათგანმა „ლოკომოტივთან“ ტესტ-მატჩში ითამაშა, რომელიც 4:4 დასრულდა. მალლაფერიძემ ორი ბურთი გაიტანა.

ნეფარიძე 20 წლისაა და ადრე „მერანში“ უთამაშია, მასზე ორი წლით უფროსი მალლაფერიძე „სპარტაკიდან“ გეცოდინებათ.

ნეფარიძის კბილა შველიძის კარიერის ყველაზე სასიამოვნო პერიოდი ყატარის „ელ რაიანში“ თამაშია, მაშინ ამ გუნდს ლუის ფერნანდესი წვრთნიდა, ხოლო შველიძის თანაგუნდელები სონი ანდერსონი და იაცეკ ბეკი გახლდნენ.

დაიტოვებს თუ არა „სიმურგი“ ქართველებს, ჯერჯერობით უცნობია. აზერბაიჯანული გუნდის უკრაინელ მწვრთნელს გასინჯვაზე ექვსი თანამემამულე ჰყავს, აზერბაიჯანში კი ლეგიონერებზე ლიმიტია დაწესებული.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**




## ჩემპიონთა ლიგა 2007-2008

CHAMPIONS LEAGUE

### I საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

*პიუნიკი (სომხეთი)* 2:0 დერი სიტი (ირლანდია) (0:0)

1:0 ავეტისიანი (29), 2:0 ხაზარიანი (67)

*ვენტსპილსი (ლატვია)* 2:1 ნიუ საინტსი (უელსი) (2:3)

1:0 ნდეკი (19), 2:0 კაცანოვი (53), 2:1 ჰოგანი (90)

*ლევადია (ესტონეთი)* 0:0 პობედა (მაკედონია) (1:0)

*ტამპერე (ფინეთი)* 2:0 მურატა (სან მარინო) (2:1)

1:0 პეტრესკუ (6), 2:0 ნიემი (21)

*ელფსბორგი (შვედეთი)* 1:0 ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია) (0:0)

1:0 სვენსონი (32)

HB ტორსჰავნი (ფარერები) 0:0 *ჰაფნარფიორდური (ისლანდია)* (1:4)

*ჟილინა (სლოვაკეთი)* 5:4 დუდელანჟი (ლუქსემბურგი) (2:1)

1:0 დევატი (9), 2:0 ლიეტავა (11), 3:0 სტივარი (29), 3:1, 3:2 გრეგორიო (40, 50), 4:2 ვომაცკა (64), 4:3 გუტლებერა (72), 5:3 სტივარი (75), 5:4 ლუკიჩი (82)

ტირანა (ალბანეთი) 1:2 *დომჟალე (სლოვენია)* (0:1)

0:1 ლიუბიჟანკიჩი (31), 1:1 დურო (75), 1:2 ზაპორა (77)

### II საკვალიფიკაციო ეტაპი

პიუნიკი (სომხეთი) — შახტარი (უკრაინა)

ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) — ლევადია (ესტონეთი)

რეინჯერსი (შოტლანდია) — ზეტა (ჩერნოგორია)

დებრეცენი (უნგრეთი) — ელფსბორგი (შვედეთი)

ზაგლებე (პოლონეთი) — სტიაუა (რუმინეთი)

გენკი (ბელგია) — სარაევო (ბოსნია)

ვენტსპილსი (ლატვია) — ზალცბურგი (ავსტრია)

ასტანა (ყაზახეთი) — რუსენბორგი (ნორვეგია)

ჰაფნარფიორდური (ისლანდია) — ბატე (ბელარუსი)

კოპენჰაგენი (დანია) — ბეითარი (ისრაელი)

ჟილინა (სლოვაკეთი) — სლავია (ჩეხეთი)

ტამპერე (ფინეთი) — ლევსკი (ბულგარეთი)

დომჟალე (სლოვენია) — დინამო (ხორვატია)

ბეშიქთაში (თურქეთი) — შერიფი (მოლდოვა)

I მატჩები გაიმართება 31 ივლისს, საპასუხოები — 7-8 აგვისტოს

## ავსტრია

ბუნდესლიგა
გადადებული მატჩი

მატერსბურგი 3:2 რაპიდი

## შვეიცარია

სუპერლიგა. II ტური

სიონი 3:0 აარაუ

სენტ გალენი 0:3 ბაზელი

იანგ ბოისი 3:2 გრასჰოპერი

ჩელენჯლიგა. II ტური

ბელინცონა 3:1 ვადუცი

ჩამი 0:4 სერვეტი

კიასო 0:1 ივერდონი

კონკორდია 0:4 დელემონი

კრინსი 2:2 შაფჰაუზენი

შო დე ფონი 1:1 ლუგანო

ლოზანა 2:0 გოსაუ

ვოლენი 1:0 ვილი

## რუსეთი

პრემიერლიგა
გადადებული მატჩები

მოსკვა 3:2 სატურნი

რუბინი 3:0 ლოკომოტივი

## დანია

სუპერლიგა
გადადებული მატჩები

ოლბორგი 1:1 კოპენჰაგენი

ოდენსე 1:1 ლიუნგბიუ

## ფინეთი

ვეიკაუსლიგა
გადადებული მატჩი

ჰონკა 0:2 ჰაკა

## ისლანდია

პრემიერდივიზიონი
XI ტური

ბრეიდაბლიკი 1:1 რეიკიავიკი

ვიკინგური 2:1 ფრამი

## უკრაინა

ვიშა ლიგა
გადადებული მატჩი

მეტალურგი (დ) 0:0 ჩერნომორეცი

## აზიის თასი 2007

ნახევარფინალი

ერაყი 0:0დ.დ. (პენ.4:3) სამხ. კორეა

იაპონია 2:3 ს. არაბეთი

## ამხანაგური მატჩები

კაენი 3:1 ტუარი

არმინია 1:1 კლადნო

ალემანია 1:0 ანდერლეხტი

ბორდო 1:0 ლორიანი

დარმშტადტი 1:5 ბოხუმი

ფეიენოორდი 1:1 ჩელსი

მეხელენი 1:1 გენკი

მეცი 1:1 სტრასბური

ოლიმპიაკოსი 2:0 ანკარაგიუჯიუ

ჰერენვენი 4:1 ვეენდამი

ზალცბურგი 1:0 არსენალი

ლიერსი 1:1 სენტ ტრუიდენი

მუსკრონი 1:2 ვალიადოლიდი

ტინენი 0:4 ბეერსხოტი

ვიტესი 1:0 სივასფორი

მარსელი 2:1 არისი

პსჟ 1:0 ელ ზამალეკი

სტანდარდი 1:2 ბრაგა

ვენლო 1:1 პსვ

ვაასლანდი 1:1 სერკლი

დონკასტერი 1:0 ვულვერჰემპტონი

ლოკერენი 1:0 ბრიუგე

პიტერჰედი 2:1 ინვერნესი

პორტ ვეილი 3:2 მანჩესტერი

ძუინი 2:1 ბრეტნა

სოთჰემპტონი 1:0 ტრანმერი

ბლეკპული 1:2 უიგანი

ბრენტფორდი 1:6 რედინგი

დაგენემი 1:1 ლუთონი

ისტ ფაიფი 0:3 სენტ ჯონსტონი

ჰიბერნიანი 3:0 ბოლტონი

დონსი 3:2 ვესტ ჰემი

ნორთჰემპტონი 1:5 ვესტ ბრომვიჩი

## უნგრეთი

ბორსოდი ლიგა
გადადებული მატჩი

ნიირეგიჰაზა — დიორ ეტო გადაიდო

## რუმინეთი

სუპერთასი

დინამო 1:1დ.დ. (პენ.5:6, 0:0) რაპიდი

## ჩილე

კლაუსურა. I ტური

კოლო კოლო 4:1 მელიპილია

## ნორვეგია

თასის 1/8 ფინალი

ლილესტრიომი 1:0 ალესუნდი

ლინი 1:0 ბოდიო გლიმტი

რუსენბორგი 1:2 ოდ გრენლანდი

სტარტი 0:1 ჰაუგესუნდი

სტრიომსგოდსეტი 4:1 ნოტოდენი

ვიკინგი 2:0 ბრანი

## გერმანია

ლიგის თასის
ნახევარფინალი

შტუტგარტი 0:2 ბაიერნი

ეროვნული ბიბლიოთეკა



სტანისლავ ფილიპოვის ფოტო

პირველი გოლი მირზა მერლანის კარში

# ნეტავ, მართლა ჩვენი ბრალი იყოს...

## ქართული ფეხბურთი ისეთ დღეშია, რა ფერის ღვინოც ყაზახებს უყვართ

სასტუმროდან „ასტანა“ — „ოლიმპის“ თამაშის დაწყებამდე ერთი საათით ადრე გავედი. ქართული დელეგაცია სტადიონზე კლუბთან ერთად ავტობუსით დაახლოებით ნახევარი საათის წასული იყო და რადგან მათ ვერ მივუსწარი, სასწრაფოდ ტაქსი გავაჩერე. ფახფახა „მოსკვიჩის“ მძღოლს ჯიბეს შერჩენილი წვრილ-წვრილი ტენგეები ჩავუთვალე და ვკითხე, სტადიონამდე მისაყვანად თუ იკმარებსმეთქი. ისე გამიღიმა, მივხვდი, უნდა ჩავმჯდარიყავი.

„ქართული ფეხბურთი სულ სხვა დონეა. ამ საქმეში ჩვენზე ბევრად მაღლა დგახართ და თქვენამდე ამოსვლის პრეტენზიაც არ გვაქვს“ — მითხრა გულახდილად და მანქანის ინტერიერის კიდევ უფრო დამახინჯებელ მაგნიტოფონში გახუნებული კასეტა ჩაჩრა. მეგონა, დამცინოდა, მაგრამ მერე მივხვდი, რომ ბოლოს ფეხბურთი წინა საუკუნეში ჰქონდა ნანახი. თუმცა „ტობოლი“ — „ზესტაფონის“ ინტერტოტური 3:0-ის შესახებაც გაეგო (ალბათ მგზავრისგან) და მორიდებით მკითხა, საპასუხო თამაში როგორ დამთავრდა, ვინ გავიდაო. არადა, „ზესტაფონის“ მერე „ტობოლმა“ უკვე ლამის ორი წრე გაიარა.

მოსალოდნელი ფეხბურთის ალიკვალი ქუჩებში არ იგრძნობოდა და რა გასაკვირია, ამ პატიოსან კაცსაც რომ არ სცოდნოდა, რა ხდებოდა. სტადიონისკენ მიმავალი ჩიხი გადაკეტილი რომ დაგვხვდა, გაუკვირდა. ამ დროს მაგნიტოფონმა კასეტა ჩაიხვია და გამწარებულმა იქვე მდგომ პოლიციელზე ამოანთხია ბოღმა, შენი წვრილთვალება დედაცო...

პოლიციელებთან პრობლემა ცოტა ხანში უკვე მე შემექმნა — თამაშზე დასწრება უფასო იყო, მაგრამ ზურგზე მოკიდებული ჩანთით რომ დამინახეს, ნაბიჯიც არ გადამადგმევინეს. როგორ არ ვეცადე, ამეხსნა, რომ ჩანთაში მხოლოდ ტანსაცმელი მედო და მოედნის გვერდით მდგომ ავტობუსში უნდა შემენახა, თამაშის დასრულებისთანავე კი აეროპორტში წავსულიყავით. საქმეს არც ჩანთის გაჩხრეკამ უშველა. ბოლოს უფროსს უხმეს. მომისმინა, მერე ხელი გადამხვია და ამ პრობლემას ერთი ბოთლი შავი ღვინო უშველისო. არ მაქვსმეთქი რომ ვუთხარი, სახე შეეცვალა, მაშინ მეორე შესასვლელიდან შემოდიო.

იმ ჭიშკართან ავტობუსი ახლოს იდგა და შედარებით ადვილად გამატარეს.

ტრიბუნებთან „ტობოლის“ ფანკლუბელები შემომეგებნენ. თამაშის დაწყებამდე ნახევარ საათზე მეტი იყო დარჩენილი. სტადიონის გვერდით, ორსართულიან შენობაში, თავიანთ ოთახშიც შემიპატიჟეს და წლევანდელი ევრომატჩების პროგრამებით და კლუბის პლაკატებით დამასაჩუქრეს. მერე კი ის ინსტრუმენტებიც მაჩვენეს, ყველა თამაშზე რომ გამოაქვთ. ამჯერად არ გვჭირდებაო, გამიღიმა ფანების შეფმა იური კოლომაცკიმ და იქვე მოაყოლა, დღეს მშვიდად დავსხდებით და ორი უცხო გუნდის თამაშით ვისიამოვნებთო.

იური კოლომაცკის მანამდეც შევხვდი. დილით სასტუმროში მოვიდა და ის ტანსაცმელი წაიღო, ერთი თვის წინ თბილისში სტუმრობისას სიმთვრალის გამო რომ მიავიწყდა და კუშტანაიში მე რომ ჩავუტანე. სიცილით გაიხსენა, სახლში რომ მივედი და ცოლმა ჩანთა გახსნა და შიგნით მარტო ღვინით სავსე ოცლიტრიანი ბიდონი იდოო.

ფანებმა პრესლოჟამდე ამაცილეს. გზად, ალმოსავლეთ ტრიბუნაზე მოგუგუნე ასტანელი კოლეგები გვარიანად აქილიკეს, თავად კი „დასავლეთზე“ დასხდნენ და მთელი 90 წუთი ნერვი არ ასტოკებიათ.

„ასტანას“ ქომაგთა ოცდაათკაციან გუნდს კი საერთო მასის აყოლიებაში კუშტანაის ორკესტრი ეცილებოდა. ერთნაირ ფორმაში გამოწყობილი 50-კაციანი გუნდი კლასიკურ მუსიკას რუსული ესტრადის ფანოლებს უნაცვლებდა. თან მინდორს მიღმა, სარბენ ბილიკზე, კოკისპირული წვიმის გამო დამდგარ გუბეებში მწყობრად დატყაპუნობდნენ.

თამაშის დაწყებამდე ტრიბუნები სანახევროდ შეივსო. ათი წუთი მარტო დედაქალაქიდან ჩამოსულები აქტიურობდნენ მერე „ასტანამ“ გოლი გაიტანა და კუშტანაელებსაც შემოაწვათ პატრიოტიზმი. მე კი მაშინვე ის ტაქსის მძღოლი გამახსენდა. ტრიბუნაზე რომ მჯდარიყო, საქართველოს ჩემპიონის კარის ბადეში გახვეულ ბურთს კიდევ ორჯერ ნახავდა და საფეხბურთო ყაზახურ-ქართულ დონეებზე აზრიც შეეცვლებოდა.

თბილისის აეროპორტში მობილური რომ ჩავრთე, რამდენიმე ერთნაირი მესიჯი მივიღე. მეგობრები და ნათესავები ერთი თვის განმავლობაში კუშტანაიდან ჩამოტანილი ორ 0:3-ს ჩემს ფეხს აბრალებენ.

ნეტავ, მართლა ჩემი ბრალი იყოს.

**ოთარ გალლაძელიძე**

**კუშტანაი — თბილისი**

# ესღა გვაკლდა

## S O S

**იქ, სადაც ვერ ვნახეთ ფეხბურთი, ვნახეთ პოლიტიკა: ყაზახეთმა საქართველო ევროპას ჩამოაჭრა, საქართველოს კი აფხაზეთი, სამაჩაბლო და აჭარა ჩამოაჭრა!**

ყაზახებმა საამსეზონო ევროთასებს უკვე ჩამოაჭრეს ორი ქართული კლუბი — ინტერტოტოდან მათმა „ტობოლმა“ „ზესტაფონი“ გააგდო, „ასტანამ“ კი ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე „ოლიმპი“ დაამარცხა.

თუმცა ყაზახთაგან ქართული სეკვესტრი ამით არ დამთავრებულა, ეს ამბავი კი წმინდა საფეხბურთო სულაც აღარ არის.

„ასტანასა“ და „ოლიმპის“ მატჩის პროგრამის ყდაზე ყაზახეთისა და საქართველოს რუკები ხატია. რამდენად ზუსტია ყაზახთა რუკა, ჩვენ თავს ვერ დავდებთ და, კაცმა რომ თქვას, ჩვენი საქმე არც არის.

სამაგიეროდ, თვალის ერთი გადავლებაც კმარა, რომ აღმოვაჩინოთ — პროგრამის ყდაზე დახატული რუკა მეტისმეტად მწირად წარმოადგენს საქართველოს. ამ რუკიდან გამქრალია აფხაზეთი, სამაჩაბლო და წარმოიდგინეთ, აჭარაც...

— არასპორტული კითხვა გვაქვს — დავურეკეთ გუშინ „ასტანას“ პრესსამსახურის უფროსს — პროგრამის ყდაზე დახატულ საქართველოს რუკას აფხაზეთი, სამაჩაბლო და აჭარა აკლია. იქნებ განგვიმარტოთ, საიდან მოიპოვეთ ასეთი რუკა?

პრესსამსახურის უფროსი გვპასუხობს, რომ რუკა, რომელიღაც საიტიდან ამობეჭდეს, საიტის მისამართი აღარ ახსოვს და რომ მას საერთოდ არ ჰქონია წარმოდგენა, სინამდვილეში როგორ გამოიყურება საქართველოს რუკა.

— მერწმუნეთ, პოლიტიკა არაფერ შუაშია — გვეუბნება ბოლოს მოსაუბრე.

ჩვენ გვჯერა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში პოლიტიკა მართლა არაფერ შუაშია და, რასაც პრესსამსახურის უფროსი გვეუბნება, სიმართლეა.

მაგრამ ფაქტია ისიც, რომ ჩვენი ავისმოსურნენი სხვა ომებთან ერთად ინტერნეტულ ომსაც გვიმართავენ და აგერ ერთი კონკრეტული შედეგიც...

**ქოტე ქექელია**





# შალკე ასათიანს ამაოდ მიუბრუნდა

## ლოკომოტივმა 7 მილიონი დოლარი იუარა

**გელზენკირხენის** „შალკე“ კვლავ შეეცადა მალხაზ ასათიანის ყიდვას, მაგრამ მოსკოვის „ლოკომოტივისგან“ კატეგორიული უარი მიიღო. „ასკამ“ რკინიგზელებთან ახალი სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა და ამ ზაფხულს მისი ტრანსფერი თითქმის გამორიცხულია.

„შალკეს“ ჯერ კიდევ წლინახევრის წინ სურდა მალხაზის გადაბირება და 7 მილიონი დოლარიც შესთავაზა „ლოკომოტივს“, თუმცა სექტემბერში მიღებული მძიმე ტრავმის შემდეგ სასურველ ტრანსფერზე საქმიანობა ამ ზაფხულამდე გადაიდო. როგორც გაირკვა, გინდ გადაედო, გინდ გადმოედო...

„ლოკომოტივის“ დირექტორატთა საბჭოს თავმჯდომარე სერგეი ლიპატოვს კი უთქვამს, ასათიანი გუნდის საკვანძო ფიგურა და უნივერსალური ფეხბურთელია, მის შენარჩუნებლად თანხა არ გვენანებაო.

რადგან „ლოკომოტივის“ გარშემო ვტრიალებთ, ცნობილი რუსი კომენტატორის, ალექსეი ანდრონოვის სკანდალურ განცხადებაზეც ვთქვათ: ანდრონოვმა პირდაპირ ეთერში თქვა, „ლოკომოტივის“ ძირითადში მოხვედრა დიდი ფული ჯდებაო...

აქვე, მალხაზ ასათიანის ინტერვიუ რუს ჟურნალისტთან, რომელიც ჩვენიანმა ცსკა-სთან წაგებული მატჩის შემდეგ მისცა — „ასკას“ არმიელებთან არ უთამაშია, თუმცა ინტერვიუ მხოლოდ ამ შეხვედრას არ ეხება...

— საწყენია, რომ სათადარიგოებში დავრჩი, ცსკა-სთან თამაში ძალიან მინდოდა. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ სრულიად ჯანმრთელი ვიყავი და მინდორზე გასვლა შემეძლო.

— „ლოკომოტივის“ მწვრთნელმა ანატოლი ბიშოვეცმა თქვა, ასათიანი ჯერ ვერ თამაშობს ასათიანის დონეზეო...

— როცა მწვრთნელი ასე ამბობს, ესე იგი, ასეა. თუმცა თუ არ ვითამაშებ, ფორმას ვერ ავკრეფ.

— ცსკა-ს ბრაზილიელ ვაგნერ ლავის თამაშზე რას იტყვით?

— ჩინებული თავდამსხმელია — შესაძლოა, საუკეთესოც კია პრემიერლიგაში. მან ხომ „კოპა ამერიკაზეც“ გამოიჩინა თავი, თანაც, ბრაზილიის ნაკრებში თამაშით და არა სადმე მესამეხარისხოვან გუნდში.

— სად უფრო კომფორტულად გრძნობ თავს: დაცვაში თუ ნახევარდაცვაში?

— ამდენი ხანი დაცვაში თამაშის შემდეგ ძნელია გადაწყობა. უკანა ხაზში სხვა სამუშაოა, წინ სხვა. აუცილებლად უნდა გავერკვიო: ან მუდმივად დაცვაში უნდა ვითამაშო, ან მუდმივად წინ. და მაინც, ჩემთვის კარგი თამაშია მთავარი.

— შენს ახლანდელ ფორმას როგორ შეაფასებ?

— დაცვაში თამაშით თუ ავიღებთ, 100 პროცენტით და აი, წინ კი სხვანაირი სამუშაოა საკეთებელი და ჯერ კიდევ უნდა მივეჩვიო.

— „ლოკომოტივის“ დატვირთული კალენდარი აქვს. ეს შეიძლება შედეგზეც ცუდად აისახოს?

— თამაშები კარგია, ყოველთვის ფორმაში ხარ. დაღლილობა იჩენს თავს, მაგრამ როცა მუდმივად თამაშობ, ვერ მოეშვები და საჭირო ტალღას დაიჭერ.

— ლიდერ „სპარტაკს“ 9 ქულით ჩამორჩებით. არ გგონიათ, რომ ძალიან დიდი სხვაობაა?

— ორი წლის წინ, ჩემპიონატის დასრულებამდე 10 ტურით ადრე 8 ქულით ვლიდერობდით, მაგრამ გავნიავეთ და საბოლოოდ მესამე ადგილზე გავედით. ახლა კი წინ 13 ტურია, ჯერ ადრეა ლაპარაკი.

*გუშინ „ლოკომოტივმა“ პრემიერლიგის გადადებულ მატჩში ყაზანის „რუბინთან“ 0:3 წააგო. ასათიანმა ნახევარდაცვაში ითამაშა და შესვენებაზე შეცვალეს.*

**ილია ნანობაშვილი**

# საქართველო რუმინეთს შეუთანხმდა: მოვიგოთ და კიდევ ვითამაშოთ

**შემოდგომაზე** საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ჩაებმება. 17-24 ოქტომბერს პირველ შესარჩევ ციკლს სწორედ საქართველო უმასპინძლებს და ელიტ-რაუნდში გასვლისთვის ბრძოლაში ჰოლანდიელი, ნორვეგიელი და ბულგარელი 19-წლამდელები გვეწვევიან.

ჰანც ტოპმიოლერი შესარჩევი ციკლის დაწყებამდე რამდენიმე უცხოურ შეკრებას და საკონტროლო მატჩს გეგმავს. ერთ-ერთი შეკრება კი რუმინეთში ჩატარდება. ეს მას შემდეგ გადაწყდა, რაც ამ ორი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციებმა მოლაპარაკება წარმატებით დაასრულეს.

ჰანც ტოპმიოლერის გუნდი რუმინეთს სექტემბრის ბოლოს ეწვევა და ქალაქ მოგოშაიაში რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ ცენტრში დაბინავდება.

ჩვენი ნაკრები რუმინელ თანატოლებთან 24 და 26 სექტემბერს გამართავს ამხანაგურ მატჩებს.

საქართველოსა და რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციათა შეთანხმებით, თუ ორივე ნაკრები წარმატებით ითამაშებს პირველ შესარჩევ ციკლში და ელიტ-რაუნდში თამაშის უფლებას მოიპოვებს, 2008 წლის გაზაფხულზე ვლახები საპასუხო ვიზიტით ეწვევიან საქართველოს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



ჰანც ტოპმიოლერი

# სირაძეს და კანდელაკს ბარაბაძეც შეეშველა

**მორიგი** საკონტროლო მატჩები გამართეს მეორე ბუნდესლიგის „ქართულმა“ გუნდებმა.

იენის „კარლ ცაისი“ პრაღას ეწვია და იქაურ „ბოჰემიანსს“ 2:0 მოუგო. გიორგი სეთურიძის ამბავი გეცოდინებათ, ყოფილმა ოლიმპელმა სერიოზული ტრავმა მიიღო და თამაშს კარგა ხანი ვერ შეძლებს, გიორგი ონიანი კი სამუშაო ვიზის ასაღებად თბილისში იყო და გერმანელებს პრაღაში არც გაჰყოლია.

სრულად გაისარჯა ილია კანდელაკი. ჩვენებურს ანგარიშის გახსნაც შეეძლო, მაგრამ მე-13 წუთზე კარგი მომენტი გაუცუდდა.

რაც შეეხება რევაზ ბარაბაძეს, იგი თამაშის დასრულებამდე 10 წუთით ადრე შევიდა მოედანზე და ამ მცირე დროში დასამახსოვრებელი არაფერი შეუქმნია. როგორც ჩანს, ფრანკ ნოიბარტი ახალგაზრდა ქართველს ბოლომდე ვერ ენდობა და მასთან კონტრაქტის გაფორმებას არ ჩქარობს.

თანაც, შესაძლოა, ბარაბაძეს მალე კიდევ ერთი კონკურენტი გამოუჩნდეს — ვიქტორ აგალის უარის შემდეგ იენელები პრაღის „სპარტას“ თავდამსხმელ იან ზიმაკის გადაბირებას ცდილობენ.



დავით სირაძემ (შუაში) და მისმა გუნდმა „ვერდერი“ დაამარცხეს

მცირე სენსაცია გამოუვიდათ დავით სირაძეს და მის „პადერბორნს“ — ბუნდესლიგის ერთ-ერთი გრანდი, ბრემენის „ვერდერი“ 2:1 დასცეს. არადა, თავიდან ბრემენელები იგებდნენ.

სირაძე მწვრთნელმა ნახევარმცველად ათამაშა და 65-ე წუთზე შეცვალა — ამ დროისთვის ანგარიში უკვე 2:1 იყო.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ყაზახებმა ნოზაძეში დარასელია ვერ დაინახეს

**ყარაგანდაში** ახლა იმდენი ქართველია, კაცს თავი საქართველოში ეგონება, თუმც ერთი მათგანი, გიორგი გაბიდაური გუნდიდან უკვე წამოვიდა.

გაბიდაურს კლუბთან კონტრაქტი დაუმთავრდა, მისი გაგრძელება კი არ შესთავაზეს და ჩვენებურიც სხვა გზას დაადგა. არადა, იქაური პრესა წერს, გაბიდაური ყაზახეთის ჩემპიონატში საუკეთესო საყრდენი იყო და რატომ ვერ ჩაჯდა ფინელ მწვრთნელ იუჰა მალინენის ტაქტიკაში, გაუგებარიაო...

ტრანსფერზეა ლევან მელქაძეც, თუმც ჯერ გუნდთან ერთად ვარჯიშობს და ბოლო ორმხრივ მატჩშიც მიიღო მონაწილეობა. ამავე შეხვედრაში ითამაშეს ლაშა ნოზაძემ, გიორგი გურულმა და ვაჟა ხაჩიძემ.

ყაზახური პრესის აზრით, გურული კარგად გამოიყურებოდა, რასაც ვერ ამბობენ ნოზაძეზე. ქართველი ნახევარმცველი ისე ვერ თამაშობს, როგორც მისი თანამემამულე ვიტალი დარასელია თამაშობდაო — წერენ ყაზახები.

თავად ნოზაძემ კი ყარაგანდში ჩასვლის თაობაზე ასეთი კომენტარი გააკეთა:

„ჩემმა მეგობარმა ლევან მელქაძემ მირჩია „შახტიორში“ ჩამოსვლა. მითხრა, რომ გუნდი ჯერ მეორე ადგილზეა, მაგრამ გაცილებით მეტი ამბიცია აქვს. იმედია, ამაში მეც შევიტან წვლილს“.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ჯანმრთელი კონკურენცია

**საქართველოს** ეზოს ფეხბურთის ასოციაცია და საქართველოს ნაკრების ოფიციალური ფან-კლუბი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობით ატარებს ტურნირს „ჯანმრთელი კონკურენცია“.

ტურნირი 28 ივლისს დაიწყება და 1 აგვისტომდე გაგრძელდება. თამაშები გაიმართება კუს ტბაზე.

ტურნირში 16 კომპანია მიიღებს მონაწილეობას: „თიბისი ბანკი“, „ტაობანკი“, „სილქ როუდ ბანკი“, „სტანდარტ ბანკი“, „ტექს-გრუპი“, „ცენტრ-პოინტი“, „ბაგების სითი გრუპი“, „იბერია“, „ნატახტარი“, „ყაზბეგი“, „რედბული“, „ჰაინეკენი“, სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“, ტელეკომპანია „მზე“, ტელეკომპანია „იმედი“, „საზოგადოებრივი მაუწყებელი“.

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ჯგუფური ეტაპის წილისყრა შედგა...

**A ჯგუფი:** „თიბისი ბანკი“, „ტაო-ბანკი“, „სილქ როუდ ბანკი“, „სტანდარტ ბანკი“.

**B ჯგუფი:** „ტექს-გრუპი“, „ცენტრ-პოინტი“, „ბაგები სითი გრუპი“, „იბერია“.

**C ჯგუფი:** „ნატახტარი“, „ყაზბეგი“, „რედბული“, „ჰაინეკენი“

**D ჯგუფი:** სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“, ტელეკომპანია „მზე“, ტელეკომპანია „იმედი“, „საზოგადოებრივი მაუწყებელი“.

## ჩემპიონთა ლიგა 2007-2008
### პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

# გადაბოტებულები

**ასტანა** *(ყაზახეთი)* 3:0 **ოლიმპი** (საქართველო) (0:0)

1:0 კუჩმა (14), 2:0 ტლეხუგოვი (52), 3:0 ჟალმაგამბეტოვი (82)

**ბატე** *(ბელარუსი)* 3:0დ.დ.(2:0) **აპოელი** (კვიპროსი) (0:2)

1:0 სტასევიჩი (15), 2:0 პლატონოვი (75), 3:0 ბლიზნიუკი (104)

**რეინჯერსი** (ანდორა) 0:3 **შერიფი** *(მოლდოვა)* (0:2)

0:1 ბალიმა (68), 0:2 კაიკუტი (72), 0:3 სუვოროვი (84)

**კაუნასი** (ლიტვა) 3:2 **ზეტა** *(ჩერნიგორია)* (1:3)

1:0 ბენიუშისი (6), 2:0 გ. კვარაცხელია (16), 3:0 კშანავიჩიუსი (19), 3:1 სტეპანოვიჩი (33), 3:2 ცეტკოვიჩი (90)

**სარაევო** *(ბოსნია)* 3:1 **მარშაქსლოკი** (მალტა) (6:0)

1:0 მესიჩი (42), 2:0 სარაბა (61), 2:1 ფრედო (65), 3:1 ტურკოვიჩი (76)

**დინამო** *(ხორვატია)* 3:1დ.დ.(1:1) **ხაზარი** (აზერბაიჯანი) (1:1)

0:1 ჟუნიორი (16), 1:1 ვუგრინეცი (56), 2:1 მანძუკიჩი (99), 3:1 ტადიჩი (116)



ადმირ რაშიჩის (მარჯვნივ) „სარაევოს" კარმელო მაგროს „მარშაქსლოკის" ძლევა არ გასჭირვებია

**ნუკრი მანჩხავას** საგოლე პასით კაუნასელმა ბენიუშისმა ანგარიში გახსნა, გივი კვარაცხელიამ მალე მეორე მიაყოლა, კშანავიჩიუსმა „ზეტას" დაბომბვა მესამე გოლით დაასრულა და მეოცე წუთისთვის მასპინძლები სამბურთიანი სხვაობით იგებდნენ. ამ ანგარიშით მეორე ეტაპზე გადიოდნენ, მაგრამ ჩერნიგორიელმა სლავენ სტეპანოვიჩმა ნახევარი საათის თავზე ერთი გაქვითა.

41-ე წუთზე „კაუნასის" ფორვარდმა პასკალ მენდიმ პენალტი ვერ გაიტანა.

თამაშის მიწურულს კი მარკო ცეტკოვიჩის გოლმა „ზეტა" წყვილიდან გაიყვანა და მომდევნო საკვალიფიკაციოში „გლაზგო რეინჯერსს" შეხვდება.

ბელარუსის ბატე-ს დამატებითი დრო დასჭირდა გზიდან კვიპროსული „აპოელის" მოსაცილებლად.

კვიპროსელები იკვეხნიდნენ, კლუბის ისტორიაში ასეთი ძლიერი შემადგენლობა არასოდეს გვყოლიაო და ლამის ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში შესვლაზე ფიქრობდნენ, მაგრამ ჯგუფი კი არა, ბატე-საც ვერ გადააბოტეს.

მარცხენა მცველმა იგორ სტასევიჩმა მასპინძლები დააწინაურა, ხოლო მეორე ტაიმში შეცვლაზე შესული დმიტრი პლატონოვის გოლმა თამაში დამატებით დროში გადაიყვანა, რომელშიც ბლიზნიუკმა იყოჩაღა და ახლოდან გატანილით ბატე-ს ორრაუნდიანში მოაგებინა.

ზაგრების „დინამოს" აზერბაიჯანულ „ხაზართან" საპასუხო მატჩშიც გაუჭირდა. ხორვატიაშიც იგივე შედეგით დასრულდა ძირითადი დრო, როგორც პირველ შეხვედრაში. აქაც აგებდნენ დინამოელები და ისევ მოახერხეს გაქვითვა.

ხაზარელთა ბრაზილიელმა ნახევარმცველმა ჟუნიორმა გეორგ კოხს 35 მეტრიდან საჯარიმო დარტყმით გაუტანა. მეორე ნახევრის დასაწყისში დავორ ვუგრინეცმა თავურით გაათანაბრა.

79-ე წუთზე „ხაზარს" ედმონდ ნტიამოა გაუძევეს, მაგრამ ხორვატებმა მეტოქე ძირითად დროში მაინც ვერ გატეხეს. დამატებულში კი სტუმრები დაიღალნენ და მერელა გაუშვეს ორი გოლი.

ანდორის „რეინჯერსის" დაცვა მოლდოვურმა „შერიფმა" მატჩის მიწურულს გაარღვია და 16-წუთიან მონაკვეთში სამი გაუტანა.

შერიფელები ასე ალბათ ველარ გაისეირნებენ მეორე ეტაპზე, რადგან მათი მეტოქე სტამბოლის „ბეშიქთაში" იქნება.

ბოსნიურ „სარაევოს" „მარშაქსლოკთან" სტუმრად 6:0 ჰქონდა მოგებული და შინ მალტელებს მხოლოდ სამი გოლი აკმარა.

„სარაევოს" მომდევნო საკვალიფიკაციოში ბელგიური „გენკი" ელის.

**გაჟა ხუციშვილი**

# კასანომ გვირაბში იები დაინახა

**ანტონიო კასანო** მადრიდის „რეალის" მწვრთნელმა ბერნდ შუსტერმა სეზონისწინა შეკრებაზე არ წაიყვანა და იტალიელი ცაში გამოეკიდა. თავქარიანი ბიჭის ყიდვა არავის უნდა და „რეალიც" მასზე უარს ამბობს.

გაბრაზებული კასანო ინდივიდუალურადაც აღარ ვარჯიშობს, მაგრამ შეიძლება საშველი დაადგეს, თუ „ფიორენტინა" მის გადაყვანას მოისურვებს. „იების" მწვრთნელმა ჩეზარე პრანდელიმ ჯერ კიდევ იანვარში თქვა: „მინდა, დავეხმარო კასანოს, რათა ექტსრაორდინალური ფეხბურთელი გახდეს. დარწმუნებული ვარ, ჩვენს გუნდს ძალიან წაადგება".

სპორტულმა დირექტორმა პანტალეო კორვინომ განაცხადა: „ამდენი კარგი ფორვარდი რომ არ გვყავდეს გუნდში, კასანოს აუცილებლად წამოვიყვანდი „რეალიდან".

„ფიორენტინა" კი ახლა სწორედ თავდამსხმელის ძიებაშია, რადგან მთავარმეგოლე ლუკა ტონი მიუნხენის „ბაიერნში" წავიდა, 21-წლამდელთა ნაკრების ყოფილ ფორვარდს, ჯამპაოლო პაცინის კი ჯერ ტონიმდე ბევრი უკლია. რეჯინალდო „პარმამ" შეიძინა, ვალერი ბოჟინოვის გაყიდვას აპირებენ და სწორედ კასანოსთვის გათავისუფლდა ადგილი.

მადრიდის „რეალი" სიამოვნებით დაუთმობს ანტონიო კასანოს „ფიორენტინას", ოღონდ ფეხბურთელს „იები" იმდენს ვერ გადაუხდიან, რასაც „რეალში" იღებს.

ბოლოს კი ვთქვათ, რომ 22 წლის პაცინიმ „იებთან" კონტრაქტი 2011 წლამდე გაახანგრძლივა.

„ძალიან მიხარია აქ დარჩენა. კლუბმა ჩემს შესანარჩუნებლად ყველაფერი იღონა და მეც თავს არ დავზოგავ" — განაცხადა თავდამსხმელმა.

**ბოკი ბანდელაკი**





# მიდი, აბა, თუ ბიჭი ხარ...

**ჟოზე მაურინიუმ** კონკურენტ რაფა ბენიტესს მწარედ გაჰკრა კბილი — „ჩელსის" მწვრთნელმა „ლივერპულისას" შეუთვალა, თუ ბიჭი ხარ, დროა, ტიტული მოიგოო:

„ლივერპულელები დიდი ზეწოლის ქვეშ არიან. ოთხი წელიწადია, რაც გუნდს სათავეში რაფა ბენიტესი უდგას, მაგრამ გუნდმა ერთხელაც ვერ მოიგო პრემიერლიგა. ახლა, ბუნებრივია, მათგან ყველა ტიტულს ითხოვს. ვფიქრობ, მათ განსაკუთრებით გასულ სეზონში გაუცრუვდათ იმედები. გასულ სეზონში ხომ „ლივერპულმა" საერთოდ ვერაფერი მოიგო".

შემდეგ მაურინიუმ ბენიტესის ნერვებს სხვა მხრიდან შემოუარა:

„გავიგე, რომ ჯერარდი, კარაგერი და რიისე მომავალ სეზონს თავიანთად აცხადებენ, მაგრამ „ლივერპულს" ყოველთვის კარგი შემადგენლობა ჰყავდა, ოღონდ მიზანს ვერ აღწევდა. ვფიქრობ, წლეულს უკეთ უნდა გამოუვიდეთ."

„ლივერპული" ინგლისის ჩემპიონი 1990 წლის შემდეგ არ გამხდარა.

რაც შეეხება მიმდინარე სატრანსფერო სეზონს, აქ მერსისაიდელებმა უკვე დახარჯეს 26 მილიონი გირვანქა, რაც ორჯერ მეტია, ვიდრე „ჩელსის" დანახარჯი.

„წინა წლებში მათ შეეძლოთ ეთქვათ: ო, ამ ბიჭებმა იმდენი დახარჯეს, რომ გამარჯვება მათ უნდა დარჩეთ, მაგრამ ამ სეზონში ასეთ რამეს ვერ იტყვიან. ერთი სიტყვით, წლეულს მათგან ყველა გამარჯვებას ითხოვს, თორემ სამი წელიწადია, მხოლოდ ჩვენ და „მანჩესტერი"· ვიგებთ".

**ბაჩუნა ბედია**

## გერმანია

### ლიგის თასის ნახევარფინალი

**ნიურნბერგი 2:4 შალკე**

1:0 ვიტეკი (20), 1:1 კობიაშვილი (38), 1:2 ერნსტი (43), 1:3 ლოვენკრანდსი (45), 1:4 ვესტერმანი (58), 2:4 ვიტეკი (73)

**ნიურნბერგი:** კლევერი, დ. რაინჰარდტი, ა. ვოლფი, გლაუბერი (კრისტიანსენი 46), იაკობსენი, გალაშეკი, ენგელჰარდტი, მისიმოვიჩი (მინტალი 52), ვიტეკი, ხარისტიასი (კენედი 63), საენკო

მწვრთნელი: ჰანს მაიერი

**შალკე:** ნოიერი, ბოენიში (ჯონსი 46), ვესტერმანი, კრსტაიჩი, პანდერი, ფ. ერნსტი (ბაირამოვიჩი 63), კობიაშვილი, რაკიტიჩი, ასამოა (ჰალილ ალტინტოპი 46), კურანი, ლოვენკრანდსი

მწვრთნელი: მირკო სლომკა

გაფრთხილება: გალაშეკი, საენკო

მსაჯი: დრეესი

20 000 მაყურებელი

# კურანი პასებს ხატავს



ლევან კობიაშვილი გოლით გამოირჩა

**კევინ კურანიმ** სამი საგოლე პასი მიითვალა, „შალკემ" კი გერმანიის თასის მფლობელ „ნიურნბერგს" მოუგო და ზეგ ლაიპციგში ლიგის თასის ფინალში ითამაშებს.

„ნიურნბერგი" რობერტ ვიტეკმა მე-20 წუთზე დააწინაურა, მაგრამ პირველი ტაიმის მიწურულს „ხუმარები" იშტაზე მოვიდნენ და სამი გოლი შეაგდეს შვიდწუთიან მონაკვეთში — ჯერ ლევან კობიაშვილმა ცაციათი გაიტანა, მერე ფაბიან ერნსტმა მიაყოლა და მეტოქეს გუნება სულ წაუხდინა პეტერ ლოვენკრანდსმა.

ამ ზაფხულს შეძენილმა ჰაიკო ვესტერმანმა მეორე ნახევარში მეოთხედ გამოატანინა ბურთი კარიდან „ნიურნბერგის" მეკარეს და ამის მერელა შეძლო ვიტეკმა სხვაობის შემცირება.

ექვსგუნდიან ტურნირში, რომელიც ყოველ ზაფხულს ბუნდესლიგის დაწყებამდე იმართება, ჩემპიონატში პირველ-მეოთხე ადგილზე გასულები, გერმანიის თასის მფლობელი და მეორე ბუნდესლიგის ჩემპიონი მონაწილეობენ. ლიგის თასის გათამაშების საპრიზო ფონდი 5 მილიონ 200 ათასი ევროა.

მეორე ნახევარფინალში წუხელ „ბაიერნი" და „შტუტგარტი" შეხვდნენ.

„შალკეს" ეს თასი 2005 წელს მოუგია.

**გაჟა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა





# სათცრება 2010

„ლივერპულმა“ ახალი სტადიონის გეგმა წარმოადგინა. სარბიელი, სადაც მერსისაიდელთა გუნდს გადაბარგება სურს, 60 ათასი მაყურებლისთვისაა ჩაფიქრებული. ის ლეგენდარული „ენფილდის“ სიახლოვეს, „სტენლი პარკშია“ და მისი პროექტი კლუბმა ქალაქის მუნიციპალიტეტს წარუდგინა განსახილველად.

ნაგებობა, წინასწარი მონაცემებით, 300 მილიონი გირვანქა დაჯდება. სხვათა შორის, თავდაპირველი პროექტი „ლივერპულის“ ახალმა მეპატრონეებმა ტომ ჰიკსმა და ჯორჯ ჯილეტმა HKS-ის არქიტექტორთა მხარდაჭერით ძირფესვიანად შეცვალეს. გეგმის თანახმად, სტადიონი „სტენლი პარკი“ 2010 წელს გაიხსნება და, რაც ყველაზე მთავარია, ისეა დაგეგმილი, რომ მომავალში რეკონსტრუქციის საშუალებას იძლევა.

აღმასრულებელი შეფი რიკ პერი: „ის, რაც ჩვენი კლუბის ოცნება იყო, ტომ ჰიკსის და ჯორჯ ჯილეტის წყალობით რეალობად იქცევა. ჩვენ ყოველთვის გვინდოდა, ვყოფილიყავით საუკეთესონი, როგორც მოედანზე, ასევე მოედნის გარეთ. კლუბი რომ იყიდეს, ჯორჯსა და ტომს პირველი რაც მოუნდათ, სტადიონის საკითხის მოგვარება იყო. მათ გაუჩნდათ სარბიელის, როგორც გათანამედროვების, ასევე ტევადობის გაზრდის იდეა. ის, რასაც დღეს პროექტის სახით ვხედავთ, მათი მეტად აწონილ-დაწონილი მუშაობის შედეგია. ჩვენი გეგმის თანახმად, უნდა აშენდეს არა მხოლოდ ის ნაგებობა, რომლითაც „ლივერპულის“ ფეხბურთელები და გულშემატკივრები დაკმაყოფილდებიან, არამედ ისეთი რამ, რაც მთელი ქალაქისთვის სამაყო იქნება. ლივერპული გახლავთ ქალაქი, რომელიც ვითარდება და, შესაბამისად, მას ახალი სტადიონიც დაამშვენებს. ჩვენს არქიტექტორებს ხელეწიფებათ ძალიან თანამედროვე და მოწინავე იდეების განვითარება და ხორცშესხმა, იმავდროულად კი მათ „ლივერპულის“ ისტორიისა და ტრადიციის ამბავიც კარგად ესმით. ცნობილია „კოპის“ ფაქტორიც. „ენფილდის“ ამ ტრიბუნის ანალოგი ახალ სტადიონზეც ცენტრალურ როლს ითამაშებს და მისი ტევადობაც გაიზრდება. „კოპი“ აუცილებლად იქნება „ლივერპულის“ ახალი სარბიელის გული. ტრიბუნა უფრო ციცაბო იქნება, სკამები კი მჭიდროდ განლაგებული. სახურავი საგანგებო აკუსტიკის გათვალისწინებით იქნება შექმნილი და ეს ყველაფერი ერთად თამაშების დროს საგანგებო ატმოსფეროს შექმნის“.

ახალი სტადიონის შექმნის იდეითა და იმით, რაც ნახა, ფრიად კმაყოფილი დარჩა გუნდის კაპიტანი სტივენ ჯერარდი: „ჩვენ „ლივერპული“ ვართ და საუკეთესოთა შორის საუკეთესო გვჭირდება. მსოფლიოს ბევრ დიდებულ სტადიონზე მითამაშია, მაგრამ ჩვენ ჩვენი გვინდა და, რაც მთავარია, ის სხვებისას არ უნდა ჰგავდეს“.

„ლივერპულის“ კიდევ ერთი ფეხბურთელი ჯეიმი კარაგერი: „ახალი გეგმით ყველა აღფრთოვანებული დარჩა. ის, რაც ამ წუთას გვაქვს, ანუ „ენფილდი“ ხომ დიდებულია, მაგრამ ის, რაც გვაჩვენეს, საგანგებო რამ უნდა გამოვიდეს. საგანგებო კი ის არის, რომ ასეთი საფეხბურთო სტადიონი არასდროს მინახავს“.

**ბაბუნა ძიდია**

# ალბათ მაინც ქირა

## ჯურაბჩიანი სასამართლოში გარბის

**კია ჯურაბჩიანმა** „ვესტ ჰემის“ წინააღმდეგ სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოში კი არა, უმაღლეს სასამართლოში ჩივილი გადაწყვიტა. მიზანი: არ დაკარგოს ფული, რომელიც კარლოს ტევესის სანაცვლოდ ეკუთვნის და მთელი ისტორია საზოგადოებისთვის ცნობილი გახადოს.

ბევრჯერ გვითქვამს და ერთხელაც გავიმეორებთ, რომ ტევესი ჯურაბჩიანისაა (ცივილიზებულად ამას ეკონომიკური უფლებების ქონა ჰქვია), მაგრამ ის, იმავდროულად, „ვესტ ჰემთანაც“ გახლავთ კონტრაქტით შეკრული — ისე პრემიერლიგაში თამაშის უფლებას ართმევდნენ. დღეს, 23 წლის არგენტინელის ყიდვა „მანჩესტერ იუნაიტედს“ სურს, მაგრამ გაურკვეველია, ვის უნდა გადაუხადოს ფული. სიტუაციაში გასარკვევად „მანჩესტერ იუნაიტედმა“ და „ვესტ ჰემმა“ ფიფას მიმართეს, მაგრამ მსოფლიო ფეხბურთის ბოსებმა ხელები გაასავსავეს, ჩვენ მაგ თავსატეხის გადამწყვეტები არა ვართ, აგერ თქვენ სპორტის საარბიტრაჟო სასამართლო და კისერიც გიტეხიათო. ამ სასამართლოს ხსენებაზე, უკვე ჯურაბჩიანმა მიიღო ზიზღიანი სახე.



კია ჯურაბჩიანი



კარლოს ტევესი

ახლა გამოდის, რომ მანჩესტერელებმა, 31 აგვისტომდე, ანუ სატრანსფერო სეზონის დახურვამდე ლონდონელებთან საერთო ენა უნდა გამონახონ და ტევესის ქირაობაზე შეთანხმდნენ, უმაღლესმა სასამართლომ კი შემდეგ უნდა გაარკვიოს, ტრანსფერის შემთხვევაში სრული თანხიდან რამდენი ეკუთვნის ჯურაბჩიანის MSI-ს და რამდენი „ვესტ ჰემს“.

რატომ არ ინება კია ჯურაბჩიანმა საქმის ზემოხსენებულ სპორტის საარბიტრაჟო სასამართლოში გარჩევა? იმიტომ, რომ ჯერ ერთი, მისი აზრით, ამ ინსტანციაში საქმე გაიწელება, ფეხბურთი კი ამდენს არ ითმენს და მეორეც, უმაღლესი სასამართლო საჯარო ადგილია, ანუ ყველაფერი, რაც იქ მოხდება, საზოგადოებისთვის დაუყოვნებლივ და სრულად გახდება ცნობილი, ეს კი ირანული წარმოშობის სომეხ-ბრაზილიელს „ვესტ ჰემის“ მხილებისთვის გამოადგება.

საარბიტრაჟო სასამართლო კარდახურული ადგილი გახლავთ.

ადვოკატი გრემ შირი: „ვადასტურებ, რომ კომპანიები MSI და Just Sports Inc უმაღლეს სასამართლოში იყვნენ და ამ გზით აპირებენ მთელი ისტორია საზოგადოებისთვის ცნობილი გახადონ. კომპანიათა მიზანია, სასამართლოს ძალით აიძულონ „ვესტ ჰემი“, დაიცვას ის პირობები, რომლებიც მათ შორის ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. ჩვენ სასამართლოს ვთხოვთ ოპერატიულობას, რათა კარლოს ტევესმა „მანჩესტერ იუნაიტედში“, რაც შეიძლება, სწრაფად დაიწყოს თამაში“.

საინტერესოა, რომ ტევესმა, ამასობაში, „მანჩესტერთან“ პირადი საკითხები უკვე მოაგვარა. „მანჩესტერში“ გადასვლის შემთხვევაში, არგენტინელი კვირაში 90 ათას გირვანქას მიიღებს, ხოლო ჯურაბჩიანს და მის ამალას იმავ მანჩესტერელთაგან წელიწადში 2 მილიონი უნდა — ხოლო თუ ფერგიუსონი ტევესის გამოსყიდვას მოიწადინებს, 26 მილიონის გადახდაც მოუწევს.

**ბაბუნა ძიდია**

# დასცხე ავადმყოფს!

## მოხუცი კაჭკაჭი პენსიაზე გაუშვეს

**ფრედი შეპერდი** „ნიუკასლ იუნაიტედის" თავმჯდომარის თანამდებობიდან დაიფრინეს. 65 წლის დამსახურებული კაცი „კაჭკაჭთა" კლუბის ახალმა მეპატრონემ მაიკ ეშლიმ „იუნაიტედის" ყიდვიდან ორ თვეში გააგდო, აი, ყიდვით კი მისტერ ეშლიმ კლუბი 133 მილიონ გირვანქად იყიდა.



ფრედი შეპერდი

საქმეში ჩახედული ხალხი ამბობს, რომ საბრალო შეპერდისთვის რაც მოხდა, დიდი დარტყმა იქნება. თურმე ნუ იტყვით და, ახლა უკვე ყოფილი თავმჯდომარე ბოლო თვეების განმავლობაში სერიოზულად ყოფილა ავად, ასეთი კაცის გაგდება, თან ისე, რომ საპატიო თანამდებობა არც კი შესთავაზო, დაგვეთანხმებით, ფრიად თავისებური საქციელია.

შეპერდის სავარძელში ამიერიდან ლონდონიდან ჩაყვანილი ვექილი კრის მორტი დაჯდება.

როდესაც წინამორბედზე ჰკითხეს, მორტმა მხოლოდ რამდენიმე სიმშრალით შეურაცხმყოფელი სიტყვა გაიმეტა:

„მსურს, მადლობა გადავუხადო ფრედი შეპერდს იმ ღვაწლისთვის, რომელიც ბოლო 15 წლის განმავლობაში გასწია".

ეშლისთან დაახლოებულმა პირმა თქვა:

„მაიკმა გადაწყვიტა, რომ ახალი ცხოვრების დაწყება კლუბში ყველასთვის საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა. მას ყოველთვის უნდოდა, „ნიუკასლში" თავისი კაცი მიეყვანა და საამისოდ შესაფერისი მომენტიც შეარჩია. მისი დაკვირვება ცხადყოფდა, რომ ფრედი დიახაც, შესაცვლელი გახლდათ. მწვრთნელად სემ ალარდაისზე უკეთესი ვინ უნდა ინატრო, ხოლო რაც შეეხება შეპერდს, ის შესაცვლელი გახლდათ".

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, შეპერდი ავად იყო, პნევმონია სჭირდა და, ბუნებრივია, ვერც თათბირებს აწყობდა. უბრალოდ რომ ვთქვათ, ის კლუბს მართლა ვერ მართავდა. ამასობაში კი მორტმა ალარდაისთან ყოველგვარი შუამავლის გარეშე გააბა ურთიერთობა.

„ბედნიერი ვარ, ასეთი კლუბის თავმჯდომარე რომ გავხდი — განუცხადა ჟურნალისტებს ლონდონელმა ადვოკატმა.

როგორც ამბობენ, შეპერდი სამსახურიდან გაგდებისთვის კომპენსაციად 1 მილიონ გირვანქას მიიღებს, ხოლო თუ თავის წილსაც გაყიდის, ზედაც 37 მილიონი დაემატება.

შეგახსენებთ, რომ შეპერდი „ნიუკასლ იუნაიტედში" 15 წელიწადია, მუშაობს და აქედან 10 წლის მანძილზე თავმჯდომარეა.

სხვათა შორის, სულ რაღაც ერთი კვირის წინ „ნიუკასლში" პოლიცია მივიდა და რაღაც კორუფციის საქმეს იძიებდა.

**ბაჩუნა ძიძია**

# იდეა ტოტალიზატორებს

## ჯორჯ ბესტის სარძლო დევიდ ბექემზე დანიძლავდა

**რაც** მართალია, მართალია — დევიდ და ვიქტორია ბექემების ამერიკაში ჩასვლამ რეზონანსი გამოიწვია, ეს კი სახუმარო საქმე ნამდვილად არ არის. თუ ვინმეს ჩვენი ნათქვამისა არ სჯერა, თავად სცადოს, ხოლო ვისაც სჯერა, ამ პატარა ინფორმაციის კითხვა განაგრძოს.

ახლა აღარ შევუდგებით იმ მოვლენების ჩამოთვლას, დევიდისა და პოშის ლოს ანჯელესში გამოჩენას რომ მოჰყვა, მაგრამ იმას კი დანამდვილებით ვიტყვით, რომ ამ ქვეყნად უამრავი გიჟია. აი, მაგალითად, ამერიკელი მსახიობი და მომღერალი ლინდსი ლოჰანი დაქალოჩკებს 50 ათას დოლარზე დანიძლავა, რომ დევიდის ლოგინში ერთს კარგად გაკოტრიალდება. და რას ფიქრობს ამაზე მისი ვაჟი-მეგობარი კალუმ ბესტი?

ცნობისთვის: კალუმ ბესტი გარდაცვლილი ჯორჯ ბესტის ვაჟია.

ის ამბობს, რომ მისი სატრფო ნათქვამს აუცილებლად აასრულებს. აბა, ამხელა თანხაზე ტყუილად ხომ არ დანიძლავდებოდაო.

ლინდსი დიი ლოჰანი 1986 წელს არის დაბადებული და მსახიობის კარიერა ერთ-ერთ ამერიკულ სერიალში ათი წლიდან დაიწყო. თერთმეტი წლისა ის უკვე ჩვეულებრივ ფილმში ათამაშეს.

სულ მონაწილეობა მიუღია 15 ფილმში, ათ ტელეშოუსა და სერიალში, ჩაწერილი აქვს სამი დიდი ალბომი, სინგლებსა და საუნდტრეკებზე კი აქ აღარ მოგახსენებთ. სულ შვიდი სხვადასხვა ჯილდოს მფლობელია. არცთუ დიდი ხნის წინათ ლოთობას მიეძალა მაგრამ უმკურნალეს — თან დააქვს დეტექტორი, რომელიც ისეთი მოწყობილობაა, ექიმებთან რომ დააბეზღებს.

კიდევ, ლინდსი შებერტყილი პერის ჰილტონის მეგობარია და ინგლისში ძალიან ცუდი რეპუტაციით სარგებლობს, ჰილტონი კი ცოტა ხნის წინ ძალიან ცდილობდა ვიქტორია ბექემთან დაახლოებას, მაგრამ ამაოდ...

**ბაჩუნა ძიძია**





## ვაჭრობა საპატაზე

**„იუვენტუსს"** უდინეზელი მცველის კრისტიან ზაპატას ყიდვა უნდა. 20 წლის კოლუმბიელი ფერნანდუ მეირას ალტერნატივაა, რომლის ტრანსფერზეც „შტუტგარტთან" მოლაპარაკებები ჩაიშალა.

„უდინეზე" საპატაში 10 მილიონ 500 ათას ევროს ითხოვს, მაგრამ „იუვენტუსს" ეძვირა და ფასზე ევაჭრება.

## პეტროვი და ზედაც ფული

**მადრიდის** „ატლეტიკოს" ბულგარელი ნახევარმცველი მარტინ პეტროვი, შესაძლოა, „პორტუში" გადავიდეს, სანაცვლოდ კი ესპანელები რიკარდუ კვარესმას წაყვანას ეცდებიან.

„ატლეტიკო" პორტუელებს ბულგარელსაც დაუთმობს და ფულსაც დაუმატებს, ოღონდ კი ნიჭიერი პორტუგალიელი ხელში ჩაიგდოს.

„ლივერპულიდან" ლუის გარსიას მისვლის შემდეგ პეტროვს ძირითად შემადგენლობაში ალბათ აღარ ათამაშებენ და ამიტომაც აპირებენ მის გაშვებას.

## ფარიასის ასზე მეტი

**„რივერ პლეიტის"** ფორვარდი ერნესტო ფარიასი „პორტუში" გადავიდა. 27 წლის არგენტინელმა ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მის სანაცვლოდ 4 მილიონი ევრო გადაიხადეს.

ფარიასს მექსიკური „ტოლუკაც" ეპატიჟებოდა, მაგრამ კარიერის ევროპაში გაგრძელება ამჯობინა.

ამჟამად მოთამაშე არგენტინელი ფორვარდებიდან, ფარიასი მეორე ადგილზეა 125 გატანილით მარტინ პალერმოს შემდეგ. 2004 წლამდე მეგოლე „ესტუდიანტესში" თამაშობდა, სადაც ასამდე გაიტანა. მერე „პალერმოში" იყო, რასაც სამშობლოში დაბრუნება და „რივერში" გადასვლა მოჰყვა.

## პერუ კათოლიკეს ჩააბარეს

**პერუს** ნაკრების თავკაცად ხოსე დე სოლარი დანიშნეს. მან ხულიო სესარ ურიბე შეცვალა, რომელიც „კოპა ამერიკას" დასრულების შემდეგ მოხსნეს.

39 წლის სოლარი ყოფილი ფეხბურთელია და ბოლოს ჩილეს „უნივერსიდად კათოლიკეში" მუშაობდა. იგი პერუს მეხუთე მწვრთნელია ბოლო სამ წელიწადში.

სოლარის ესპანურ „ტენერიფესა" და „ვალენსიაში" უთამაშია. სამწვრთნელო კარიერა კი ლიმას „სპორტინგ კრისტალში" დაიწყო და მერე გადავიდა „უნივერსიდადში".

მან ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე უნდა გაიყვანოს. მუნდიალზე პერუს 1982 წლის შემდეგ არ უთამაშია.

## საშინელი ამბავი

**„ვერდერისა"** და გერმანიის ნაკრების ნახევარმცველი ტორსტენ ფრინგსი „პადერბორნთან" ამხანაგურ მატჩში დაშავდა და რამდენიმე თვით დააკლდება გუნდს. ფეხბურთელს მარჯვენა მუხლის ჯვარედინი მყესები გაუწყდა.

„საშინელი ამბავია — თქვა მწვრთნელმა თომას შააფმა — ტორსტენი გუნდის მთავარი ფეხბურთელია და შეუცვლელია".

30 წლის ნახევარმცველი ალბათ ევრო 2008-ის დარჩენილ შესარჩევ მატჩებსაც გამოტოვებს.

## კალუ რუს დაუბრუნდა

**პსჟ-ს** კოტდივუარელი ფორვარდი ბონავენტურე კალუ „ლანსში" გადავიდა. კონტრაქტის პირობები უკვე შეთანხმებულია და ფეხბურთელიც ყოფილი მწვრთნელის, გი რუს გუნდში ითამაშებს, რომელთანაც „ოსერშიც" უბურთავია.

ახლა კალუ ჯამაგირზე უნდა მოურიგდეს ლანსელებს და ტრანსფერიც ოფიციალურად გაიჩარხება. პსჟ-ს პრეზიდენტმა ალენ კაიზაკმა არ გამხილა გარიგების ფასი.

ფორვარდი პარიზულ კლუბში 2005 წლიდანაა, მაგრამ გასულ სეზონში მწვრთნელად პოლ ლე გუენის მისვლის შემდეგ ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაკარგა.

## მთვრალი მწვრთნელი

**ნასვამ** მდგომარეობაში ავტომობილის მართვის გამო „არმინიას" მწვრთნელ ერნსტ მიდენდორპს 24 900 ევრო გადაახდევინეს და მართვის უფლება რვა თვით ჩამოართვეს.

იგი 23 აპრილს, „ვოლფსბურგთან" მატჩის შემდეგ დააკავეს, როცა პოლიციამ შეამჩნია, რომ კაცი ავტომობილის გაჩერებისთვის წვალობდა. შემოწმებისას მიდენდორპს სისხლში ნორმაზე მეტი ალკოჰოლი აღმოაჩნდა.

## კასტილიო სიტელი

**„ოლიმპიაკოსის"** მექსიკელ ფორვარდ ნერი კასტილიოს „მანჩესტერ სიტი" ყიდულობს.

„დეილი მირორის" ცნობით, კლუბები 10 მილიონ გირვანქაზე მორიგდნენ.

ფეხბურთელის გადაბირება ადრე „მანჩესტერ იუნაიტედსაც" სურდა, მაგრამ მაშინ ბრიტანეთის სამუშაო ვიზა ვერ მიიღო, ახლა კი საბერძნეთის მოქალაქის პასპორტი აქვს და ევროკავშირელად ითვლება.

**ვაჟა ხუციშვილი**

# კარსდანატრებული კარინი
## აქ ნაღდად უნდა ვითამაშო



**ექტორ** ფაბიან კარინი „მურსიაში“ სამედიცინო შემოწმების წარმატებით გავლის შემდეგ „ნუევა კონდომინას“ არენაზე ოფიციალურად წარადგინეს.

ურუგვაელი მეკარე „მურსიაში“ მომავალი ოთხი სეზონის განმავლობაში დარჩება. კარინი, რომელიც ესპანეთში იტალიიდან გადავიდა, სათადარიგოთა სკამსაა ნაჩვევი, თუმცა „მურსიაში“ უქმად ყოფნას არ აპირებს: „სათადარიგო მეკარეობას თუ მოვინდომებდი, წესით, „იუვენტუსი“ არ უნდა დამეტოვებინა — ტურინელებს ჩემი გუნდიდან გაშვება ნამდვილად არ სურდათ. ვიცი, რომ „მურსიაში“ ნოტარიო თამაშობს, რომელიც ჩინებული მეკარეა, მაგრამ აქ ერთი მიზნით მოვედი — უნდა ვითამაშო. ეს ჩემი პროფესიული გამოწვევაა, თანაგუნდელს ცოტათი მაინც უნდა ვაჯობო ძირითადში ადგილის მოსაპოვებლად“.

ევროპაში კარინის პრობლემა ის გახლდათ, რომ სულ გრანდებში ირიცხებოდა: „კარში მხოლოდ ერთი მეკარე დგება, მე კი ისეთ კლუბებში ვთამაშობდი, სადაც ბუფონი, ტოლდო და ჟულიო სეზარი იყვნენ, რის გამოც მოედანზე გამოსვლა იშვიათად მიწევდა. მინდა, დონე ავიმაღლო, ეს კი ხშირი პრაქტიკით თუ მოხდება. ამიტომაც მიზნის მისაღწევად თავდადებით ვივარჯიშებ“.

ფაბიან კარინიმ კარიერა ურუგვაულ „დანუბიოში“ დაიწყო, ოთხი სეზონის შემდეგ კი ევროპას, კერძოდ, ტურინის „იუვენტუსს“ მიაკითხა. მერე იყო ლიეჟის „სტანდარდი“, „კალიარი“ და „ინტერი“.

იგი 1999 წლიდან ურუგვაის ნაკრების ძირითადი მეკარეა და შარშან თბილისშიც გახლდათ, როცა ოკეანისგაღმელებმა საქართველოს ნაკრებთან 0:2 წააგეს.

სულ კარინის თავის ნაკრებში 64 მატჩი გაუმართავს.

**ლადო ხომერიკი**

# რასინგი სიმაღლეში ძალიან დაპატარავდა
## ჟიგიჩი მულტიმილიარდერს გაჰყვა

**სანტანდერის** „რასინგის“ გიგანტი ფორვარდის ნიკოლა ჟიგიჩის კარიერა, სავარაუდოდ, ესპანურ პრიმერადივიზიონში აღარ გაგრძელდება. სერბი უახლოეს ხანში „მანჩესტერ სიტისთან“ კონტრაქტს გააფორმებს და ეს „რასინგის“ ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული გასხვისება იქნება — ინგლისელებს ჟიგიჩი 20 მილიონი ევროს საფასურად მიჰყავთ.

ჟიგიჩის მიზანი ლა ლიგაში დარჩენა და იქ რომელიმე გრანდი კლუბის შემადგენლობაში მოხვედრა იყო, თუმცა „მანჩესტერ სიტიმ“ იაქტიურა და სანტანდერელებმაც სერბი სარფიანად გაყიდეს.

„რასინგში“ მარსელინო გარსია ტორალის ხელმძღვანელობით ახალ სპორტულ პროექტს ეყრება საფუძველი და გუნდმა ტანმაღალი ფორვარდის გასხვისებით სამომავლო ტრანსფერებისთვის საჭირო ფული აიღო.



„მანჩესტერ სიტის“ აქციათა 75 პროცენტი რამდენიმე ხნის წინ ტაილანდელმა მულტიმილიარდერმა ტაქსინ შინავატრამ იყიდა. აზიელი შეფის სურვილია, „სიტი“ პრემიერლიგის გიგანტებს და, უპირველეს ყოვლისა, თანაქალაქელ მტერს, „მანჩესტერ იუნაიტედს“ გაუტოლდეს. შინავატრამ გუნდის მწვრთნელად სვენ გორან ერიკსონი მიიყვანა, ხოლო მალე მანჩესტერელები დევკაცი სერბითაც გაძლიერდებიან.

**ლადო ხომერიკი**

# ამას რა შეედრება?

**ერთი** ჯილდოც რომ ვერ მოიგოს, დანიელე დე როსი მაინც „რომას“ უერთგულებს და კარიერას იქ დაასრულებს.

24 წლის ნახევარმცველს „ბარსელონა“ და „ინტერი“ ეპატიჟებოდნენ, მაგრამ მან განაცხადა:

„თავი მხოლოდ „რომას“ ფეხბურთელად წარმომიდგენია. იმაზეც მიფიქრია, რომ შეიძლება, 10-15 წლის განმავლობაში კაცმა ტიტულები ვერ მოიგოს, თუმც „რომას“ მაისურით გამარჯვებას არაფერი შეედრება“.

კრისტიან კივუს „ინტერში“ შესაძლო გადასვლის თაობაზე კი დე როსიმ თქვა: „სამწუხარო იქნება, ასე თუ მოხდება, რადგან ის ჩვენს კონკურენტს გააძლიერებს. თუმც მეიმედება, რომ გადაიფიქრებს და დარჩება“.

**ვაჟა ხუციშვილი**





# რას მოუტანს ესპანეთს ფანჯარაში გადაყრილი ფული?

**დაცვაზე** გადამკვდარმა საბერძნეთის ნაკრებმა 2004 წელს ევროპის ჩემპიონატი მოიგო, 2006 წლის მუნდიალი დაცვითი ფეხბურთის ისტორიულ დამკანონებელს, იტალიას ერგო წილად, ხოლო ჩემპიონთა ლიგის ჯერჯერობით ბოლო ტურნირზე „მილანმა“ ძირითადად კონტრშეტევათა წყალობით იმარჯვა. და ამ ყველაფერს ისიც დავუმატოთ, რომ გასულ სეზონში ესპანეთის ჩემპიონი ფაბიო კაპელოს „რეალი“ გახდა, კლუბი, რომელიც ძირითადად თავისი საჯარიმოს მისადგომების უსაფრთხოებით იყო დაკავებული...

ტენდეცია დაცვითი ფეხბურთისაკენ მთელ მსოფლიოში შეინიშნება. ასეა ესპანურ ლა ლიგაშიც, სადაც შემტევი ფეხბურთის ბოლო ბასტიონმა „ბარსელონამაც“ ყურადღება უკანა ხაზის გაძლიერებაზე გადაიტანა — წლეულს გაბრიელ მილიტო, ერიკ აბიდალი და ტურე იაია შეიძინა.

ესპანეთში შიშობენ, რომ ფეხბურთის „ჩაკეტვა“ და აქცენტის დაცვაზე გადატანა ტრიბუნაზე ქომაგთა რაოდენობას მკვეთრად შეამცირებს — პირინეებზე ხომ ყოველთვის სანახაობრივ, ლაღ თამაშს ანიჭებდნენ უპირატესობას. წარმოიდგინეთ, პრიმერას გუნდების მიერ წლეულს სატრანსფეროდ დახარჯული 276 მილიონი ევროდან 102 მილიონი მარტო მცველების შეძენას მოხმარდა! ესპანურმა კლუბებმა ამ დრომდე საერთო ჯამში 31 ცენტრალური და 22 განაპირა უკანახაზელი იყიდეს.

ამ სატრანსფერო ფანჯრისას ლა ლიგის გუნდებმა შეიძინეს 14 ახალი მეკარე, რაც ესპანეთის ჩემპიონატისთვის ასევე უჩვეულო მოვლენაა.

ჩანს, ადრე მარტო იერიშებზე შეყვარებულმა პირინეელებმა 21-ე საუკუნეში საკუთარი კარების უსაფრთხოებაზე ზრუნვაც დაიწყეს.

თუმცა მეკარეებში, მცველებისგან განსხვავებით, ბევრი ფული არ დახარჯულა. მარტო „ვილიარეალმა“ გადაიხადა რეალელ დიეგო ლოპესში 6 მილიონი ევრო და „ბეტისმა“ პორტუგალიელ რიკარდუში 3 მილიონი. დანარჩენები ახალ კლუბებში იჯარით ან თავისუფალი აგენტების სტატუსით მივიდნენ. აქედან 9 მეკარე უცხოელია, 5 კი — ესპანელი.

აღსანიშნავია, რომ მადრიდის „რეალმაც“ იკერ კასილიასის სათადარიგო მეკარედ „ლივერპულიდან“ ირჟი დუდეკი ჩაიყვანა, ადგილობრივ, საფეხბურთო სკოლის აღზრდილებს არ ენდო...

შარშან ესპანელებმა ტრანსფერებში სულ 301 მილიონი ევრო დახარჯეს. ეს რეკორდი წლეულს ალბათ დაემხობა, რადგანაც სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე თვეზე მეტია დარჩენილი და ზოგიერთი კლუბი ძვირადღირებულ ფეხბურთელებს სწორედ ბოლო დღეს, 31 აგვისტოს ყიდულობს ხოლმე.

ლა ლიგის ვეშაპებს, „რეალს“ „ვალენსიას“, „ატლეტიკოსა“ და „სარაგოსას“ შემადგენლობა ჯერ ბოლომდე არ შეუვსიათ და მათგან ჯიბეზე გულუხვად ხელის გაკვრა კიდევაა მოსალოდნელი.

პეპეს ტრანსფერი კი ცალკე სალაპარაკო თემაა. ვინძლო ყველამ იცოდეს, მაგრამ მაინც აღვნიშნოთ, რომ მადრიდის „რეალმა“ „პორტუს“ ბრაზილიური წარმოშობის პორტუგალიელ მცველში სრული 30 მილიონი ევრო გადაიხადა. რახან „რეალმა“ ამხელა თანხა გაიღო, ესე იგი, პეპე ულირს ამდენად.

— „რეალის“ უფროსთა გადაწყვეტილების სისწორეში ეჭვიც არ მეპარება — თქვა მაშინ მედიასთან საუბარში „სამეფო გუნდის“ მეკარემ იკერ კასილიასმა.

„რეალის“ მეტოქე კლუბის, „ბარსელონას“ პრეზიდენტმა ხუან ლაპორტამ კი აღნიშნა: „რა თქმა უნდა, სხვა კლუბების სატრანსფერო საქმეებში ვერ ჩავერევით, მაგრამ, ვფიქრობ, „რეალმა“ პეპეში მაინც მეტისმეტად ძვირი გადაიხადა. ეს სატრანსფერო ბაზარზე ინფლაციას გამოიწვევს“.

ხუან ლაპორტას კლუბმა წლეულს ტრანსფერებში ყველაზე მეტი დახარჯა. ტიერი ანრის, ერიკ აბიდალის, ტურე იაიას და გაბი მილიტოს ყიდვა „ბარსელონას“ 68 მილიონი ევრო დაუჯდა. მეორე ადგილზე მადრიდის „ატლეტიკოა“ — ამ კლუბმა ფერნანდო ტორესში აღებული ფული მთლიანად თავდასხმის ხაზის გაძლიერებას მიახარჯა.

**ლადო ხომერიკი**

ფრანკ რაიკარდი თავის მეხუთე სეზონს იწყებს კატალონიურ „ბარსელონაში“. მისმა გუნდმა 2006-07 წლების კამპანია უტიტულოდ ჩაამთავრა, რის გამოც ჰოლანდიელი მიიჩნევს, რომ მომავალ სეზონში „ბარსას“ დამატებითი მოტივაცია ექნება გამარჯვებისთვის საბრძოლველად. „მიზანს მხოლოდ ერთიანობით და გუნდური სულისკვეთებით თუ მივაღწევთ“ — თქვა ფრანკმა „ელ მუნდო დეპორტივოსთან“ ინტერვიუში...



# როგორ ჩაჭრა რაიკარდმა ჟურნალისტი
## ცვლილება თავად ცხოვრებაა

— „ბარსამ“ საახალსეზონო მზადება დაიწყო. როგორია თქვენი შთაბეჭდილებები?

— საერთო ჯამში ყველაფერი კარგად მიდის. შოტლანდიაში სრული შემადგენლობით ჩავედით, აქ 25 ფეხბურთელი გვყავს, დანარჩენები კი ზოგი არდადეგებზე არიან, ზოგს ტრავმა აწუხებს.

— ბოლო ორი წლის განმავლობაში შეკრებაზე დანიაში მიდიოდით, ახლა შოტლანდია რატომ აირჩიეთ?

— კლუბმა შემოთავაზება მიიღო, რომ შეკრება შოტლანდიაში გაგვეტარებინა. სპორტულმა დირექტორმა ჩიკი ბეგირისტაინმა და დირექტორატის სხვა წევრებმა სიტუაცია შეისწავლეს და გადაწყვიტეს, შოტლანდიაში წავსულიყავით. მეც არაფერი მქონდა ამის საწინააღმდეგო.

— გუნდში ოთხი ახალი ფეხბურთელი მოვიდა. ერიკ აბიდალი „ბარსას“ რას შემატებს?

— გუნდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წევრი იქნება. რადგან აბიდალი „ბარსელონამ“ იყიდა, ეს იმას ნიშნავს, რომ ფრანგი შესანიშნავი ფეხბურთელია. აბიდალს დამატებით მოტივაციას ის შესძენს, რომ თავი „ბარსელონასნაირ“ გუნდში უნდა გამოიჩინოს. მისი ყველაზე ძლიერი საფეხბურთო მხარე? ეს ჯერ უნდა აღმოვაჩინოთ. წინასწარ ფეხბურთელების შეფასება არ მიყვარს, იმის ცოდნაც მაკმაყოფილებს, რომ ერიკი ძლიერი მოთამაშეა.

— გაბრიელ მილიტოზე რას ფიქრობთ?

— იმავეს, რასაც ტურეზე, ან ტიერი ანრიზე. ანუ იმას, რომ ყველანი შესანიშნავი მოთამაშეები არიან. იმედი მაქვს, „ბარსელონაში“ თავს კარგად იგრძნობენ და გუნდისთვის დიდი დახმარების გაწევაც შეუძლიათ. ახალწვეულებს დრო საკმარისად მიეცემათ, რათა თავიანთი სიძლიერე დაამტკიცონ.

— ბოლო წლებში „ბარსელონა“ 4-3-3 სქემით თამაშობდა. მომავალშიც ასე გააგრძელებთ, თუ რამე ახალს მოიფიქრებთ?

— რას ნიშნავს 4-3-3?! გეტყოდით, რომ გუნდი ისევ ამ სქემით ითამაშებდა, თუმც 4-3-3-საც აქვს თავისი ვარიაციები. შეიძლება, ამ სქემით დაცვაზე ორიენტირებული საყრდენი ნახევარმცველით ითამაშო, ან ნახევარმცველით, რომელიც იერიშებში ხშირად ერთვება. 4-3-3-ის დროს შეიძლება გყავდეს ორი თავდამსხმელი და ერთი უკან დაწეული მოიერიშე, ან ორი ფეხბურთელი, რომელიც თამაშს ხსნის და ერთი ფორვარდი. საერთო ჯამში, გუნდი შარშანდელი სქემით ითამაშებს, მაგრამ მცირე ცვლილებები მაინც იქნება.

— თქვენ მიერ ნახსენებ ვარიაციებს როდის მიმართავთ?

— როცა ეს საჭირო იქნება.

— და რამ შეიძლება განაპირობოს, რომ ფრანკ რაიკარდმა თავისი ტრადიციული სქემა შეცვალოს?

— სიტყვას გაძლევთ, თუ სქემის შეცვლის წინაპირობა შეიქმნა, ამას პირველად თქვენს გაზეთს შევატყობინებ...

— სქემის შეცვლა ალბათ მეტოქის სათამაშო სტილზე იქნება დამოკიდებული, ანუ იმაზე, მოწინააღმდეგე როგორი ფეხბურთის მოყვარულია...

— შეიძლება ასეც იყოს.

— კარგი, ვაღიარებთ, რომ ჩვენი ყველა შეკითხვა ტაქტიკური ცვლილებების შესახებ უიღბლო გამოდგა. თემა შევცვალოთ: თქვენ ყოველთვის ამბობდით, „ბარსელონაში“ „ორვარსკვლავნახევარიც“ საკმარისი იქნებაო. ახლა კი გუნდში ოთხი მსოფლიო კლასის ვარსკვლავი გყავთ...

— წლეულს „კამპ ნოუზე“ ვარსკვლავები კი არა, გუნდი გვყავს. რა თქმა უნდა, შესანიშნავია, თუ ქომაგებს ცალკეულთა ლამაზი თამაში მოხიბლავთ და სეზონის დასრულების შემდეგაც ემახსოვრებათ, მაგრამ მე ვისურვებდი, მთავარი ვარსკვლავი მაინც თავად გუნდი იყოს. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა ფეხბურთელი, რომელიც აქ თამაშობს, ნამდვილი ვარსკვლავია, რადგან „ბარსელონას“ წევრია. პირადად ჩემთვის ყველა ჩემი ფეხბურთელი ვარსკვლავია — ისინი თავიანთი ოსტატობით, ვაჟკაცობითა და თავგანწირვით „ბარსელონას“ ღირსებას იცავენ... მე არ ვლაპარაკობ ოთხ გამორჩეულ ფეხბურთელზე, ან „ორვარსკვლავნახევარზე“. იმედი მაქვს, „ბარსა“ გაისად შეკრული, ერთი მძლავრი ორგანიზმი იქნება.

— ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ „ბარსელონას“ ძველმა და ახალმა ფეხბურთელებმა საერთო ენა ადვილად გამონახეს...

— როგორც ხედავთ, ყველანი აქ ვართ და ნაყოფიერად ვმუშაობთ. თუ რამე განსხვავებული შეამჩნიეთ, ანუ თუ საქმე კარგად არ მიდის, აუცილებლად შემატყობინეთ — ეს სიტუაციის მოგვარებაში დამეხმარება.

— განსხვავებული და საკონფლიქტო არაფერი შეგვიმჩნევია, მაგრამ საკითხავია, ეს ბარსელონური იდილია მაშინაც გაგრძელდება, როცა ანრის, მესის, ეტოოსა და რონალდინიოს ფანტასტიკური ოთხეულიდან ერთ-ერთს სათადარიგოთა სკამზე დასვამთ?

— გულწრფელად განვიცდი, ეჭვები რომ გაწუხებთ. მე კი ასეთი რამეებისგან თავისუფალი ვარ.

— ფეხბურთელი ფრანკ რაიკარდი რას იტყოდა, სათადარიგოებში რომ გაეგზავნათ?

— მე ყოველთვის ჯგუფსა და გუნდზე უფრო მეტს ვფიქრობდი. მთავარი როლის შემსრულებელ მაესტროდ თავი არასდროს წარმომედგინა. ნორმალური ფეხბურთელი ვიყავი და, ბედის წყალობით, თითქმის ყველა მატჩში ვითამაშე. სათადარიგოებში გადაგზავნის პრობლემას არ შევუწუხებივარ, მაგრამ ვიცნობ ფეხბურთელებს, რომლებსაც ხშირად უწევთ სკამზე ჯდომა და მათი მშვენივრად მესმის.

— „ბარსელონას“ სასტარტო შემადგენლობაზე ქუჩაში წამოჭრილ დებატებს შეუძლიათ, მომავალ მატჩებში საქმე გაგირთულოთ?

— არა, რას ამბობთ. შემადგენლობის დაყენებაზე ქომაგთა დებატები არანაირ მავნე გავლენას არ მოახდენს. ძალიანაც კარგი, თუ ხალხი ქუჩაში „ბარსას“ სასტარტო თერთმეტეულზე კამათობს, ესე იგი, მათ გუნდზე გული შესტკივათ. ვიცი, რომ ყოველ გადაწყვეტილებას თან თავისი შედეგი მოჰყვება, მაგრამ ამაზე არ ვნერვიულობ. გარდა ამისა, ბიჭების იმედიც მაქვს, დარწმუნებული ვარ, ისინი მწვრთნელის მიერ გუნდის სასარგებლოდ მიღებულ გადაწყვეტილებას არ გააპროტესტებენ და ჯიბრში არ ჩამიდგებიან. ყველამ იცის, რომ მიზანს მხოლოდ ერთიანობით და გუნდური სულისკვეთებით თუ მივაღწევთ.

— რამდენიმე დღის წინ აღნიშნეთ, რომ „ბარსელონაში“ ყველაფერი თავიდან, ნულიდან იწყება. რას გულისხმობდით, იმას, რომ გუნდი ვალდებულია, ტიტულები მოიგოს?

— თუ ნულიდან იწყებ, მხოლოდ წინსვლის ვარიანტი დაგრჩენია. კიდევ ბევრი რამე უნდა დავამტკიცოთ და ტიტულებისთვის ვიბრძოლოთ. ეს ჩვენი მიზანია.

— თქვით, რომ შემადგენლობა შარშანდელზე მეტად ვალდებულია, ჯილდოები მიიღოს...

— ამას ჩვენ საკუთარ თავს ვავალდებულებთ. მეც და ბიჭებსაც ნაკლებად გვაინტერესებს, უცხონი რას იტყვიან, საბრძოლო მოტივაცია გულის სიღრმიდან უნდა წამოვიდეს. უნდა გვესმოდეს, რომ ხალხის წინაშე პასუხისმგებლობა გვაკისრია, ქომაგები ჩვენგან გამარჯვებებს ელიან და „ბარსამაც“ მათ იმედები არ უნდა გაუცრუოს. თუმცა ეს გარკვეულ დაძაბულობასაც უკავშირდება.

— შეკრების დაგეგმვისას მუშაობის მეთოდები შეცვალეთ, თუ საქმეს ძველებურად ხელმძღვანელობთ?

— თითქმის არაფრის შეცვლა არ იყო საჭირო. როცა გუნდი კარგად ფუნქციონირებს და დისციპლინაც მოწოდების სიმაღლეზეა, ადმინისტრაციული ცვლილებები და მართვის მეთოდის გამკაცრება საჭირო არ არის. აქ იმიტომ ვართ, რომ მომავალი სეზონის მნიშვნელოვანი მატჩების წინ საკუთარ თავს დავაკვირდეთ და თუ რამე შეცდომას აღმოვაჩენთ, გამოვასწოროთ. თუმცა საკუთარ თავზე ლაპარაკი არ მიყვარს. რამდენად აკონტროლებს ფრანკ რაიკარდი გუნდში სიტუაციას, ამაზე სხვებმა ისაუბრონ.

— მიუხედავად კლუბში ახალი, შედარებით გამკაცრებული კოდექსის შემოღებისა, თქვენ თქვით, რომ შეცვლა არ გემუქრებათ და ისევ ძველ ფრანკ რაიკარდად დარჩებით. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ სხვები, თქვენი შეგირდები უნდა შეიცვალონ?

— ადამიანებს სჩვევიათ ხოლმე თქმა, არ ვიცვლებითო, თუმცა ცხოვრება თავადაა ცვლილება, წლებთან ერთად გამოცდილებას იძენ, ნაცნობ-მეგობართა და ოჯახის წევრთა რიცხვი იზრდება. ცხოვრებაში ყველაფერი იცვლება, ადამიანი, მისი სხეული, საერთოდ, ყველაფერი მის გარშემო. „ბარსელონაშიც“, სიტუაციიდან გამომდინარე, შეიძლება, ვინმეს ხასიათი შეეცვალოს, ოღონდ ამის ნაკლები შანსი არსებობს...

# დრენტე ძალიან ახლოსაა

**მადრიდის** „რეალმა“ „ფეიენოორდს“ ახალგაზრდა ჰოლანდიელი მცველის დრენტეს შეძენის თაობაზე მორიგი სატრანსფერო წინადადებებით მიმართა. „სამეფო გუნდი“ მზადაა, 7 მილიონი ევრო გადაიხადოს და პლუს ამას „ფეიენოორდში“ გააგზავნოს კშიშტოფი, 20 წლის პოლონელი, რომელიც ამჟამად „რეალ C“-ს მარცხენა მცველია.

მადრიდელები თვლიან, რომ „ფეიენოორდი“ ამ შეთავაზებაზე უარს იქნება და დრენტეც მალე „რეალში“ გადაინაცვლებს.

სამშაბათს ჰოლანდიურმა კლუბმა დრენტე იმ ოფიციალური პლაკატიდან გააქრო, რომელიც 1 აგვისტოს როტერდამელთა ახალი სეზონისთვის საპრეზენტაციოდ იყო გამიზნული. თუმცა პლაკატს ახალი სახეები შეემატნენ — როი მაკაი და ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი.

„ფეიენოორდისა“ და „რეალის“ მოლაპარაკება, სავარაუდოდ, კვირის ბოლოს დრენტეს მადრიდში ჩასვლით დასრულდება.

„ჯერ მხოლოდ 20 წლის ვარ და არ ვიცი, ბედი რას მიმზადებს, თუმცა ძალიან მინდა, ესპანეთის ჩემპიონატში ვითამაშო“ — განაცხადა ჰოლანდიელმა მცველმა.

**ლადო ხომერიძე**



## გარგანო მოაწერს

**სერია A-ში** დაბრუნებულმა „ნაპოლიმ“ ურუგვაელი ნახევარმცველი ვალტერ გარგანო შეიძინა „დანუბიოდან“. ამ კვირაში იგი იტალიაში ჩავა და ხუთწლიან კონტრაქტს გააფორმებს.

მისი ყიდვა „სან პაულუს“, „ლაციოსა“ და „ატალანტასაც“ სურდა.

„დანუბიოში“ მან ოთხი სეზონი ითამაშა და 83 მატჩში 3 გოლი გაიტანა.

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **28 ივლისი** | | | | | | |
| 21:00 | 20 | ალტახი-ტიროლი | 2.30 | 3.20 | 2.75 | 1.33 | 1.25 | 1.47 |
| 21:00 | 21 | მატერსბურგი-შტურმი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 21:00 | 23 | რიდი-აუსტრია | 2.50 | 3.20 | 2.55 | 1.40 | 1.26 | 1.41 |
| 21:00 | 24 | ზალცბურგი-ლინცერი | 1.25 | 4.70 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.08 |
| | | **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **26 ივლისი** | | | | | | |
| 21:45 | 28 | ქსამაქსი-თუნი | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| 21:45 | 29 | ციურიხი-ლუცერნი | 1.35 | 4.20 | 7.30 | 1.02 | 1.13 | 2.66 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **27 ივლისი** | | | | | | |
| 22:00 | 62 | ბასტია-ლე ავრი | 2.35 | 2.75 | 3.00 | 1.26 | 1.31 | 1.43 |
| 22:30 | 63 | ბრესტი-ანჟე | 1.90 | 2.90 | 4.10 | 1.14 | 1.29 | 1.69 |
| 22:00 | 64 | კლერმონი-შატორუ | 2.80 | 2.70 | 2.55 | 1.37 | 1.33 | 1.31 |
| 22:00 | 65 | დიჟონი-აიაჩო | 2.45 | 2.70 | 2.90 | 1.28 | 1.32 | 1.39 |
| 22:30 | 66 | გრენობლი-სედანი | 2.45 | 2.75 | 2.90 | 1.29 | 1.32 | 1.41 |
| 22:00 | 67 | გენიონი-ამიენი | 2.65 | 2.70 | 2.70 | 1.33 | 1.33 | 1.35 |
| 22:00 | 68 | ლიბურნი-მონპელიე | 2.60 | 2.70 | 2.75 | 1.32 | 1.33 | 1.36 |
| 22:00 | 70 | ნიორი-ბულონი | 2.10 | 2.90 | 3.40 | 1.21 | 1.29 | 1.56 |
| 22:00 | 71 | ტრუა-გენგამი | 1.70 | 3.20 | 4.60 | 1.11 | 1.24 | 1.88 |
| | | **30 ივლისი** | | | | | | |
| 22:30 | 69 | ნანტი-რეიმსი | 1.55 | 3.40 | 5.60 | 1.06 | 1.21 | 2.11 |
| | | **რუსეთი** | | | | | | |
| | | **28 ივლისი** | | | | | | |
| 12:00 | 74 | ენერგია-სპარტაკი მ | 3.20 | 2.80 | 2.25 | 1.49 | 1.32 | 1.24 |
| 14:00 | 77 | ზენიტი-ამკარი | 1.30 | 4.10 | 8.50 | 1.00 | 1.12 | 2.76 |
| | | **29 ივლისი** | | | | | | |
| 18:00 | 78 | ცსკა მ-ხიმკი | 1.30 | 4.10 | 8.50 | 1.00 | 1.12 | 2.76 |
| 15:00 | 81 | ტომსკი-როსტოვი | 1.60 | 3.20 | 5.40 | 1.06 | 1.23 | 2.00 |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა** | | | | | | |
| | | **30 ივლისი** | | | | | | |
| 21:00 | 127 | ჰალმსტადი-გაის | 1.70 | 3.40 | 4.50 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| 21:00 | 128 | კალმარი-გეფლე | 1.65 | 3.50 | 4.70 | 1.12 | 1.22 | 2.00 |
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | **26 ივლისი** | | | | | | |
| 19:30 | 147 | ჰიკ-მიუპა | 2.00 | 3.20 | 3.50 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| | | **29 ივლისი** | | | | | | |
| 19:30 | 148 | ინტერი-ლაჰტი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| 19:30 | 149 | კტპ-იარო | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 19:30 | 150 | ვიიკინგიტი-მარიეჰამნი | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| | | **ისლანდია** | | | | | | |
| | | **26 ივლისი** | | | | | | |
| 23:15 | 154 | აკრანესი-კოპავოგური | 1.60 | 3.40 | 4.80 | 1.08 | 1.20 | 1.99 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **აშშ** | | | | | | |
| | | **26 ივლისი** | | | | | | |
| 23:45 | 163 | ნიუ იორკი-ჩივასი | 1.96 | 3.20 | 3.60 | 1.21 | 1.26 | 1.69 |
| | | **28 ივლისი** | | | | | | |
| 23:45 | 164 | სოლტ ლეიკი-ნიუ ინგლენდი | 3.00 | 3.20 | 2.15 | 1.54 | 1.25 | 1.28 |
| | | **29 ივლისი** | | | | | | |
| 23:00 | 165 | ტორონტო-ჩიკაგო | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 23:45 | 392 | კანზასი-ჩივასი | 1.95 | 3.20 | 3.40 | 1.21 | 1.23 | 1.64 |
| | | **ბრაზილია** | | | | | | |
| | | **26 ივლისი** | | | | | | |
| 23:45 | 173 | ატლეტიკო მნ-ფლუმინენსე | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 23:00 | 174 | ბოტაფოგო-ჟუვენტუდი | 1.35 | 4.00 | 8.20 | 1.00 | 1.15 | 2.68 |
| 23:45 | 175 | სან პაულუ-სპორტ რისაიფი | 1.30 | 4.30 | 7.50 | 1.00 | 1.10 | 2.73 |
| | | **ამხანაგური მატჩები** | | | | | | |
| | | **26 ივლისი** | | | | | | |
| 22:45 | 238 | დანდი იუნ.-ბარსელონა | 11.00 | 6.50 | 1.14 | 4.08 | 1.03 | 1.00 |
| 22:45 | 240 | ნიუკასლი-სელტიკი | 1.95 | 3.20 | 3.35 | 1.21 | 1.23 | 1.63 |
| | | **28 ივლისი** | | | | | | |
| 19:00 | 252 | ბოხუმი-მიონხენგლადბახი | 1.90 | 3.30 | 3.40 | 1.20 | 1.21 | 1.67 |
| 17:30 | 253 | დუისბურგი-პსვ | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| 18:00 | 255 | ბარნლი-ლიდსი | 1.75 | 3.20 | 4.30 | 1.13 | 1.24 | 1.83 |
| 18:00 | 262 | ნიუკასლი-იუვენტუსი | 2.70 | 3.20 | 2.25 | 1.46 | 1.22 | 1.32 |
| 19:00 | 263 | ჰართსი-ბარსელონა | 11.00 | 6.00 | 1.15 | 3.88 | 1.04 | 1.00 |
| 18:00 | 264 | ჰიბერნიანი-მიდლსბრო | 3.00 | 3.20 | 2.10 | 1.54 | 1.23 | 1.26 |
| 18:00 | 273 | საუთჰემპტონი-ლაციო | 3.00 | 3.20 | 2.10 | 1.54 | 1.23 | 1.26 |
| 18:00 | 274 | საუთენდი-ვესტ ჰემი | 5.00 | 3.40 | 1.60 | 2.02 | 1.21 | 1.08 |
| 21:30 | 283 | ლე მანი-პანათინაიკოსი | 4.00 | 3.40 | 1.75 | 1.83 | 1.21 | 1.15 |
| 22:45 | 284 | ბოჰემიანი-სანდერლენდი | 7.00 | 3.80 | 1.40 | 2.46 | 1.16 | 1.02 |
| | | **29 ივლისი** | | | | | | |
| 19:00 | 287 | ლევერკუზენი-რომა | 2.40 | 3.20 | 2.55 | 1.37 | 1.23 | 1.41 |
| | | **საფრანგეთი. სუპერ თასი** | | | | | | |
| | | **28 ივლისი** | | | | | | |
| 20:00 | 291 | ლიონი-სოშო | 1.60 | 3.20 | 5.50 | 1.06 | 1.23 | 2.02 |
| | | **ბელგია. სუპერ თასი (ბრიუსელი)** | | | | | | |
| | | **28 ივლისი** | | | | | | |
| 22:30 | 292 | ანდერლეხტი-ბრიუგე | 1.85 | 3.20 | 4.00 | 1.17 | 1.26 | 1.77 |
| | | **ნორვეგია. თასი** | | | | | | |
| | | **26 ივლისი** | | | | | | |
| 20:00 | 299 | ნიბერგსუნდი-ვოლერენგა | 6.30 | 4.30 | 1.35 | 2.55 | 1.11 | 1.02 |
| | | **შვედეთი. თასი** | | | | | | |
| | | **26 ივლისი** | | | | | | |
| 21:00 | 389 | იოსტერსი-კალმარი | 4.20 | 3.40 | 1.75 | 1.87 | 1.23 | 1.15 |
| 21:00 | 390 | სუნდსვალი-ვესბი | 1.50 | 3.70 | 5.50 | 1.06 | 1.17 | 2.21 |
| 22:15 | 391 | ნორჩიოპინგი-ლანდსკრონა | 1.50 | 3.70 | 5.50 | 1.06 | 1.17 | 2.21 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10028 | ქსამაქსი-თუნი | 2.45 | 2.00 | 3.65 | 1.10 | 1.46 | 1.29 |
| 10029 | ციურიხი-ლუცერნი | 1.65 | 2.50 | 6.00 | 1.00 | 1.29 | 1.76 |
| 10147 | ჰიკ-მიუპა | 2.45 | 2.10 | 3.85 | 1.13 | 1.49 | 1.35 |
| 10389 | იოსტერსი-კალმარი | 4.60 | 2.10 | 2.15 | 1.44 | 1.46 | 1.06 |
| 10390 | სუნდსვალი-ვესბი | 1.85 | 2.30 | 5.00 | 1.02 | 1.35 | 1.57 |
| 10391 | ნორჩიოპინგი-ლანდსკრონა | 1.85 | 2.30 | 5.00 | 1.02 | 1.35 | 1.57 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11028 | ქსამაქსი-თუნი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11029 | ციურიხი-ლუცერნი | 1.70 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11147 | ჰიკ-მიუპა | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11389 | იოსტერსი-კალმარი | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.60 |
| 11390 | სუნდსვალი-ვესბი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11391 | ნორჩიოპინგი-ლანდსკრონა | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი ზარალდება ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14028 | ქსამაქსი-თუნი | 1.70 | 2.20 |
| 14029 | ციურიხი-ლუცერნი | 1.10 | 2.60 |
| 14147 | ჰიკ-მიუპა | 1.70 | 2.20 |
| 14389 | იოსტერსი-კალმარი | 2.40 | 1.45 |
| 14390 | სუნდსვალი-ვესბი | 1.30 | 2.50 |
| 14391 | ნორჩიოპინგი-ლანდსკრონა | 1.30 | 2.50 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13389 | იოსტერსი-კალმარი | 1.70 | 1.90 |
| 13390 | სუნდსვალი-ვესბი | 1.70 | 1.90 |
| 13391 | ნორჩიოპინგი-ლანდსკრონა | 1.70 | 1.90 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12028 | ქსამაქსი-თუნი | 1.90 | 1.70 |
| 12029 | ციურიხი-ლუცერნი | 2.00 | 1.60 |
| 12147 | ჰიკ-მიუპა | 1.70 | 1.90 |
| 12389 | იოსტერსი-კალმარი | 1.90 | 1.70 |
| 12390 | სუნდსვალი-ვესბი | 2.00 | 1.50 |
| 12391 | ნორჩიოპინგი-ლანდსკრონა | 2.00 | 1.50 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15028 | ქსამაქსი-თუნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15147 | ჰიკ-მიუპა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15389 | იოსტერსი-კალმარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15390 | სუნდსვალი-ვესბი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15391 | ნორჩიოპინგი-ლანდსკრონა | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16028 | ქსამაქსი-თუნი | 1.40 | 2.55 |
| 16029 | ციურიხი-ლუცერნი | 1.10 | 5.50 |
| 16147 | ჰიკ-მიუპა | 1.40 | 2.55 |
| 16389 | იოსტერსი-კალმარი | 2.90 | 1.32 |
| 16390 | სუნდსვალი-ვესბი | 1.14 | 4.70 |
| 16391 | ნორჩიოპინგი-ლანდსკრონა | 1.14 | 4.70 |

### გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17028 | ქსამაქსი-თუნი | 1.85 | 1.95 |
| 17029 | ციურიხი-ლუცერნი | 1.85 | 1.95 |
| 17147 | ჰიკ-მიუპა | 1.85 | 1.95 |
| 17389 | იოსტერსი-კალმარი | 1.85 | 1.95 |
| 17390 | სუნდსვალი-ვესბი | 1.85 | 1.95 |
| 17391 | ნორჩიოპინგი-ლანდსკრონა | 1.85 | 1.95 |

ოლიმპიზმი

EYOF BELGRADE 2007

ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი. ბელგრადი, სერბეთი. 21-28 ივლისი




ზებედა რეხვიაშვილმა ევროპულ ოქროს ფესტივალურიც დაამატა

# ზებედა-ზვიადური

## ქართველებმა ფესტივალი ტატამზე მოიწყვეს

**ბელგრადში** მიმდინარე ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე გუშინ ქართული ყულაბა კიდევ ორი მედლით გამდიდრდა. ორივე ძიუდოისტებმა მოიპოვეს. ზვიად კაპანაძემ (60კგ) და ზებედა რეხვიაშვილმა (66კგ) ახლახან ევროპის ჩემპიონატის ფინალები იჭიდავეს და რა გასაკვირია, ფესტივალზეც რომ გადამწყვეტ ბრძოლებამდე მისულიყვნენ.

კაპანაძემ ტურნირი ჩერნიგორიელი ლუჩიჩის ძლევით დაიწყო. მერე ზედ ლატვიელი სტაფუნსი, რუმინელი ტიმისი და უკრაინელი ვორონაც მიაყოლა და ოქროს მედლისთვის ისევ იმ აზერბაიჯანელ სარხა ახმადოვს დაეჭიდა, ვისთანაც მალტაში წააგო. რევანში არ შედგა. 16 წლის ქართველი თავისზე აშკარად უფროს აზერთან გაფრთხილებით დამარცხდა.

ზებედა რეხვიაშვილმა (66კგ) კი ევროოქროს ოლიმპიურიც მიამატა. საჩემპიონო გზაზე მან ბულგარელი ბეშევი, თურქი ოკაი, სლოვაკი ტროულსკი, ებრაელი სვიდერსკი და ლატვიელი კურბანოვსი ჩამოიცილა.

კარგი დღე ჰქონდათ ჩოგბურთელებსაც. ეკატერინე გორგოძემ დილის ათ საათზე ერთეულებში ითამაშა მეოთხედფინალი, ნაშუადღევს, პირველ საათზე კი უკვე გიორგი ხმიადაშვილთან ერთად, შერეულ წყვილებში გავიდა კორტზე. ერთეულებში ჩვენებურმა იტალიელ ვალენტინ კონფალონიერს ორ სეტში დააჩრევინა ჩოგანი, თუმც გვარიანი წინააღმდეგობა კი შეხვდა — 7:5 7:5. ქართულმა დუეტმაც ორსეტიანი თამაშით უწია ნახევარფინალს. პოლონელებთან ბომაგაკა-ლუტოვსკისთან გორგოძემ და ხმიადაშვილმა დაძაბული ბრძოლა მხოლოდ პირველ სეტში გადაიტანეს და ტაიბრეიკით მოიგეს, მეორეში კი მეტოქეებს ერთი გეიმი დაუთმეს.

მაგიდის ჩოგბურთში გოგონებში საკვალიფიკაციო შეხვედრები ჩატარდა და შეჯიბრში ნონა მარქარიანიც ჩაება, მაგრამ სერბ ანდრეა ტოდოროვიჩს პატარა წინააღმდეგობაც ვერ გაუწია — 0:3 (3:11 2:11 4:11)

მძლეოსნობაში 400 მეტრზე ნახევარფინალის საგზურის გამნაღდებელ ენდრიკ ზილბერშტეინს გუშინ 200 მეტრიანი დისტანციის კვალიფიკაციაში უნდა ერბინა, მაგრამ ფალსტარტის გამო დაისაჯა და შეჯიბრს გამოეთიშა.

ველომრბოლელები დავით ასკურავა და ამირან სვანიძე კი 8-კილომეტრიანი დისტანციის კვალიფიკაციაში ჩარჩნენ.

**ოთარ მაღლაკელიძე**

პლაჟის ფრენბურთი

# მარცხიანი დღე

**შვეიცარიულ** გშტაადში მიმდინარე პლაჟის ფრენბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატზე გუშინდელი დღე წარუმატებელი გამოდგა ბრაზილიელი ქართველებისთვის.

ჯგუფური ეტაპის მეორე ტურში საქა და რთველომაც წააგეს და გეორ და გიამაც და ამ მარცხიანი დღის შემდეგ ქალებმა ხომ საერთოდ დაკარგეს პლეი ოფში გასვლის შანსი, კაცებმაც საკმაოდ გაირთულეს საქმე.

ბერძნებთან, კარადასიუსა და არვანიტისთან ორ სეტში წაგების შემდეგ საქამ და რთველომ სამი პარტია ეომეს ნაღდ ბრაზილიელებს, მარია კლარასა და კაროლს და დაძაბულ ბრძოლაში 17:21 21:16 13:15 დამარცხდნენ. იქიდან გამომდინარე, რომ ბერძნებმა დები შვაიგერების ავსტრიულ წყვილსაც მოუგეს, ამ ჯგუფში ყველაფერი გაირკვა — შემდეგ ეტაპზე ორ-ორ მოგებიანი ბრაზილიელები და ბერძნები გავლენ, ხოლო ჩვენებისა და ავსტრიელებისთვის დღევანდელ ურთიერთშეხვედრას ოდენ პრესტიჟის მნიშვნელობაღა აქვს.

გეორ და გია გუშინ 33 წუთში 14:21 12:21 დამარცხდნენ მასპინძლებთან, გაბათულერთან და ვენგერთან. ამ ჯგუფის მეორე მატჩში ამერიკელებმა როჯერსმა და დალჰაუზერმა 2:1 (21:23, 21:15, 15:7) მოუგეს ჩვენებისგან პირველ ტურში ძლეულ ჰოლანდიელებს ბოერსმასა და რონესს.

ორი ტურის შემდეგ ორი მოგებით (სეტების შეფარდება 4:1) ამერიკელები ლიდერობენ. შვეიცარიელებს (2:2) და ჩვენებს (2:3) თითო მოგება-წაგება აქვთ, ხოლო ჰოლანდიელები (2:4) ორივეჯერ დამარცხდნენ.

ბოლო ტურში ქართველები ამერიკელებს ხვდებიან, ხოლო შვეიცარიელები — ჰოლანდიელებს და ისეთი სიტუაციაა, რომ ჯგუფიდან გასვლის შანსებს ოთხივე გუნდი ინარჩუნებს. თანაც, შეიძლება გეორ და გიამ ამერიკელებს კი მოუგონ, მაგრამ მაინც ჯგუფში ჩარჩნენ. ეს იმ შემთხვევაში, თუ ჩვენები 2:1-ს მოიგებენ, ხოლო შვეიცარიელები ჰოლანდიელებს აჯობებენ. ასე რომ, გეორ და გიას მეტად რთული ამოცანა აქვთ გადასაჭრელი — ამერიკელები ორ სეტში უნდა დაამარცხონ.




კუბელი დალასია ფერნანდესი შვეიცარიულ სილაში ამოიგანგლა



ზაზა ფაჩულიამ სამ მატჩში თითქმის 100 ქულა გააკეთა

# შილდსმა დანია რეზერვით გალია

**საქართველო 88:68 დანია**
**26:25 22:14 18:19 22:10**

**საქართველო:** ცინცაძე (12 ქულა, 8 პასი), ა. ბოისა (4), მ. მარკოიშვილი (4), ბაბიაშვილი (10), ფაჩულია (37 ქულა, 9 მოხსნა, 2 პასი, 2 დაფარება); ლეჟავა (11), გამყრელიძე (7), უგრეხელიძე (1 ქულა, 6 მოხსნა), შერმადინი (2), გ. მარკოიშვილი, ტულუში

**საქართველოს** ნაკრებმა ცუდად დაწყებული ბულგარული ტურნირი იმედიანად ჩაამთავრა — მასპინძლებთან დიდი სხვაობით წაგების შემდეგ, მძლავრ მაკედონიას მოუგო, გუშინ კი დანიელებს 20 ქულით აჯობა და თან ეს თითქმის სათადარიგო შემადგენლობით მოახერხა.

ქართველთა კანადელ თავკაც კენ შილდსს მაკედონიის დამარცხების შემდეგ ვერ გადაეწყვიტა, ძირითად შემადგენლობაზე გაეკეთებინა აქცენტი და შედეგზე ეთამაშა, თუ ყველასთვის მიეცა თავის გამოჩენის შანსი. საბოლოოდ, როგორც გამოჩნდა, შილდსმა სამარქაფოებს მეტი გასაქანი მისცა, თანაც ამის ფრიადი საფუძველიც ჰქონდა.

მანუჩარ მარკოიშვილმა პირველივე მეოთხედში იტკინა ფეხი და მწვრთნელი მის დატვირთვას მოერიდა — მხოლოდ 14 წუთი დაასაქმა, ხოლო ნაკრების ვეტერანი კაპიტანი ვახტანგ ნაცვლიშვილი განაცხადში საერთოდ არ შეიყვანა. ვატო ასაკშია, მუხლებიც ქრონიკულად აწუხებს და მწვრთნელმა ის დაასვენა.

ნაცვლიშვილის მაგივრად ხუთეულში ზვიად ბაბიაშვილმა ითამაშა და თავი არ შეურცხვენია, ხოლო მარკოიშვილის მიკრო-ტრავმამ ბესიკ ლეჟავას მისცა შანსი და ახალგაზრდა თსუ-ელმაც 5-დან 3 ქულიანი ჩააგდო და 11 ქულით ქართველ რეზერვისტთაგან ბომბარდირი გახდა.

თამაში თანაბრად დაიწყო და პირველი მეოთხედის შემდეგ ქართველები მხოლოდ ქულას იგებდნენ. მერე და მერე შილდსის სამწყსომ მოედანზე ფეხი გაიდგა: ზაზა ფაჩულიამ ფარქვეშეთი დაიპყრო და საბოლოოდ დიდი სხვაობითაც გაამარჯვებინა ქართველებს. ზაზამ ამჯერად 37 ქულა ჩააგდო და ტურნირის სუპერბომბარდირი გახდა. მის ანგარიშზე საშუალოდ 32 ქულაზე ოდნავ მეტია და ის მთელი 11 ქულით უსწრებს მეორეზე გასულ ბულგარელ იორდან ბოზოვს.

ნამატჩევს კომენტარი გააკეთა **ზაზა ფაჩულიამ**, რომელიც კალათბურთის ფედერაციის პრესსამსახურის დახმარებით მოვიპოვეთ:

— ბულგარეთთან პირველ შეხვედრაში დაღლილობამ იჩინა თავი, თავიდან კარგად დავიწყეთ, მაგრამ მეორე ტაიმში ბულგარელებმა ტემპს უმატეს და ამის ხარჯზე მოგვიგეს, თანაც რიგიანად დასვენებაც ვერ მოვასწარით. მეორე შეხვედრიდან მოყოლებული კი ნაკრები ნელ-ნელა აუმჯობესებს თამაშის ხარისხს.

**— საკუთარ თამაშს როგორ შეაფასებდით?**

— ვაცნობიერებ, რომ ნაკრების ლიდერი ვარ და არ მაქვს უფლება, ზედმეტი ჯარიმებით გუნდი საფრთხის წინაშე დავაყენო.

**— სამივე თამაშში რაღაც არაჩვეულებრივი პროცენტით ასრულებ თამაშიდან ტყორცნებს...**

— მთელი ზაფხული ამ და სხვა სათამაშო კომპონენტებზე ვმუშაობდი. მიღწეულით არასოდეს ვკმაყოფილდები და მსურს, რაც შეიძლება სწრაფად გავაუმჯობესო თამაშის ის კომპონენტები, სადაც პრობლემები მექმნება. ისე, თამაშიდან მართლაც კარგად ვისროდი ბურთს. ცხადია, ნაკრები ჩემი მთავარი პრიორიტეტია, თუმცა ზაფხულში ნამუშევარი მერე ამერიკაშიც გამომადგება, სადაც მორიგი დამქანცველი, მაგრამ საინტერესო რეგულარული ჩემპიონატი მელის.

**— დაგვეთანხმე, რომ წინ გაცილებით რთული მატჩები გვაქვს ჩასატარებელი...**

— რა თქმა უნდა. ისლანდიაში მძიმე შეხვედრა გვაქვს, თბილისში ფინეთის ძლიერი ნაკრები ჩამოდის. ტესტ-მატჩები ამ შეხვედრებისთვის საუკეთესოდ მოსამზადებლად უნდა გამოვიყენოთ. ჩვენი მიზანი ბოლომდე უნდა მივიყვანოთ.

**ირაკლი ბერტაია**

# ახალი ქართველები

## კობეშავიძემ კადეტებში ოქრო და ხასიათი იჩვენა

**საქართველო 82:75 ისრაელი**
**25:24 11:21 18:19 28:11**

**საქართველო:** თავართქილაძე(11), ჩიკვილაძე(21), ელანიძე(6), დვალიშვილი(4), შენგელია(24); ბაქრაძე(15), იოსელიანი(1), მაღლაკელიძე, ქობონელიძე, ბოქოლიშვილი, სულაბერიძე
**ისრაელი:** იცხაკი(12), ბუშმენი(16), დოთანი(10), კოენი(17), ტამირი(9), ბუბბინდერი(8), როტემბერგი(2), ოშანა(1)

**მალდა** ჭამაში მოუვიდათ ქართველ კადეტებს. ჯგუფიდან გასვლის შემდეგ ჩვენი 16-წლამდელების დამრიგებელმა მიხეილ კობეშავიძემ თქვა, ვეცდებით, ერთი თამაში მაინც მოვიგოთ მეორე ეტაპზეო და სიტყვაც შეასრულა. თუმცა მაინც არ კმაყოფილდება და ფავორიტ საფრანგეთზეც ხელს იშვერს, შევასკდებით და ეგება მოვიგოთო. კობეშავიძესთან ინტერვიუს ბოლოში წაიკითხავთ, ახლა კი ორი სიტყვით ვთქვათ ქართველთაგან ებრაელთა ძლევის ამბავი.

ისრაელს ჩვენამდე ოდნავ უკეთესი შედეგები ჰქონდა, რაც არა მოგებებით, არამედ ბობოლა მეტოქეებთან ტოლ-სწორი პაექრობით გამოიხატებოდა. ებრაელებმა პირველ ჯგუფურ ეტაპზე ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს ჩემპიონობის მსურველ საფრანგეთს და ბედის უკუღმართობა რომ არა, იმარჯვებდნენ კიდეც.

ჩვენებმა ჩვეულებრივ დაიწყეს, მეტოქეს არც ჩამორჩებოდნენ და უკანაც ვერ მოიტოვეს. თანაბრად მიმდინარე საწყისი მეოთხედი ქართველებმა ქულით მოიგეს, თუმცა მეორეში გაუჭირდათ.

ებრაელთა ფორვარდმა კარმელ ბუშმენმა ქართველების დაცვაში საიმედო ხვრელს მიაგნო და არაერთი გარღვევა შედეგიანად დაასრულა. ახლოაღმოსავლელთა ლიდერობამ ათ ქულას მიაღწია და დაახლოებით ამ ფარგლებში ტრიალებდა ბოლო მეოთხედის დაწყებამდე. თუმცა მესამე მეოთხედში იყო ეპიზოდი, როცა ქართველებმა გუნდური თამაშის წყალობით ანგარიში გაათანაბრეს (50:50), მაგრამ მერე დაცვაში აერიათ დავთრები და ბოლო მეოთხედის წინ კვლავ 10 ქულით ჩამორჩნენ — 54:64.

გადამწყვეტი მეოთხედი და ებრაელთა რბევა ერთდროულად დაიწყო. ბექა ჩიკვილაძემ, თორნიკე შენგელიამ და ტარიელ თავართქილაძემ მიყოლებით ყარეს ბურთები რაგინდარა დისტანციებიდან. ჩვენებმა დაცვაშიც გაუვალი კედელი აღმართეს და 5 წუთში ანგარიში უკვე თანაბარი იყო — 70:70.

დარჩენილ დროში ქართველებმა კიდევ უფრო უმატეს სიჩქარეს. მიუხედავად იმისა, რომ აღარ აგებდნენ, პრესინგის თამაშზე უარი არ უთქვამთ და აკი გაუმართლათ კიდეც. კონტრშეტევებზე იმდენი ქულა მოიხვეჭეს, რომ საბოლოოდ დამაჯერებლად აჯობეს მეტოქეს. ესეც ძალიან არაქართული ეპიზოდი: ბოლო მეოთხედის წინ 10 ქულით ჩამორჩენილებმა მობილიზება მოახერხეს და ეს დეფიციტი ხომ გაანათილეს, საბოლოოდ 7 ქულითაც იმარჯვეს.



ახლა კი **მიხეილ კობეშავიძის** დაპირებული ინტერვიუ:

— ისევე როგორც სლოვენიასთან, ისრაელთანაც დაცვის ხარჯზე მოვიგეთ. მთელი სამი მეოთხედი ვერაფერი მოვუხერხეთ ებრაელთა შეტევებს და ბოლო ათ წუთში, როცა ბიჭებმა ბოლოს და ბოლოსააწყვეს თამაში, ყველაფერი ავანაზღაურეთ.

**— როგორ მოახერხეთ დაცვის გამოსწორება?**

— ბიჭებმა მოინდომეს, ალღო აუღეს მეტოქის ტაქტიკას. არ ვიცოდი, რა მექნა, ამდენი შეცვლა, მგონი, არასდროს გამიკეთებია. ბიჭები წამდაუწუმ გამყავდა მოედნიდან და სხვებს ვაძლევდი შანსს. ბოლო მეოთხედში, როგორც იქნა, ოქროს ხუთეულს მივაგენი, ბიჭებს ხელფეხი გაეხსნათ და ძალიან ლამაზი გამარჯვება ვიზეიმეთ.

**— და როგორი იყო ეს ხუთეული?**

— თავართქილაძე, ჩიკვილაძე, ბაქრაძე, დვალიშვილი და შენგელია. რა თქმა უნდა, შეცვლებს ვაკეთებდი, მაგრამ ძირითადად ამ ბიჭებზე გადაიარა ბოლო მეოთხედმა, როცა მეტოქე ყველაფერში დავჯაბნეთ. შენგელია საუკეთესო გახლდათ, ის ბოლოს შეუჩერებელი იყო, ისევე როგორც ჩიკვილაძე, ვინაც მთელი სამი მეოთხედი ჩააგდო, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში უდიდესი დახმარება გაგვიწია. ტურნირზე პირველად ითამაშა შედეგიანად გივი ბაქრაძემ, მისი მეიმედებოდა და, როგორც იქნა, გაამართლა.

**— ბოლო მეოთხედში ამხელა ჩამორჩენის გაბათილება ცოტა უჩვეულოა ქართველებისთვის...**

— ესენი ხომ ჯერ მხოლოდ 16 წლისანი არიან, ანუ მენტალიტეტი ახლა უყალიბდებათ. ასე ვთქვათ, ახალი ქართველები არიან და ძალიან მიხარია, ასეთი მებრძოლი ხასიათი რომ გამოამჟღავნეს. ბოლო მეოთხედში რომ ასე უზადოდ ითამაშებ, დიდი ნებისყოფა უნდა გქონდეს. ბიჭები თითქმის შეუცდომლად ასრულებდნენ ისეთ რთულ ტაქტიკურ მანევრს, როგორიც პრესინგია.

**— პრესინგი დიდ ენერგიეს მოითხოვს და ხანგრძლივად მისი თამაში მხოლოდ რჩეულ გუნდებს ძალუძთ...**

— ვიცოდი, რომ ისრაელთან მოგების რეალური შანსი გვქონდა და გუნდის ლიდერები სერბებთან წინა მატჩში დავასვენე. შეგვეძლო, სერბეთს შევსკდომოდით და ასეთ შემთხვევაში ალბათ 20 ქულით დავმარცხდებოდით, მაგრამ შენგელია, თავართქილაძე და დვალიშვილი ცოტა ხნით ვათამაშე და ისინი დღეს გამოგვადგნენ.

**— ხვალ საფრანგეთს ეთამაშებით, რომელმაც წინა ტურში იტალია იოლად დაამარცხა...**

— იტალია კი დაამარცხა, მაგრამ ისრაელთან კინაღამ წააგო. ებრაელები საფინალო სირენამდე 20 წამით ადრე 3 ქულას იგებდნენ, ბურთსაც ფლობდნენ, მაგრამ ფრანგებმა თამაში სასწაულებრივად შემოატრიალეს. საფრანგეთს არ მოვერიდებით და ბოლომდე ვიბრძოლებთ, რადგან ეს მატჩი რომ მოვიგოთ, რვა საუკეთესოს შორის ადგილს ვინაღდებთ. ეს კი ჩვენი გაქანების გუნდისთვის უდიდესი მიღწევაა.

**ირაკლი ბერტაია**

# მოიას უმაგში უხარია

**საჩოგბურთო** სამყაროს ეპიცენტრი ნელ-ნელა ჩრდილოეთ ამერიკისკენ ინაცვლებს. თუმც ბევრი ევროპა სათიხნარო სეზონის შემორჩენილი ტურნირებით ბობოლათა ნაწილის ინტერესს მაინც აკმაყოფილებს, მაგრამ ეს მხოლოდ ორი კვირა გასტანს, მერე კი ყველას მოუწევს ატლანტის ოკეანის გადალახვა.

ამ კვირაში მიმდინარე კაცთა ტურნირებიდან ორი გრუნტზე იმართება, ერთი — ჰარდზე. ყველაზე მეტ ინტერესს ალბათ ავსტრიულ კიცბიუელში მიმდინარე შეჯიბრი იწვევს, სადაც საპრიზო ფონდიც სოლიდურია და გრუნტის ბევრმა სპეციალისტმა მოიყარა თავი, მაგრამ რაკი პირველ წრეში ბობოლები ისვენბდნენ, ალპებში მომხდარზე აღარ შევჩერდებით.

აი, ხორვატიულ უმაგასა და ამერიკულ ინდიანაპოლისში კი თითქმის ყველა განთესილს მოუწია კორტზე გასვლა. ჩვენ ბალკანეთზე მომხდარი ამბებით დავიწყებთ, სადაც ტურნირი პირველივე წრეში დატოვა მოქმედმა ჩემპიონმა სტანისლავ ვავრინკამ. შვეიცარიელი თითქოსდა კარგ ფორმაშია იყო — აკი სამიოდ დღის წინ შტუტგარტის ფინალში ღირსეულად ეთამაშა რაფაელ ნადალს და „გრუნტის მეფეს" კინაღამ სეტიც აართვა. თუმც უმაგში პირველივე თამაშში დამარცხდა. ოღონდ აქვე ვთქვათ, რომ ალპელს მაგრად არ გაუმართლა, რადგან თიხნარის კიდევ ერთ, თან გამოცდილ სპეციალისტთან მოუწია შეხვედრა კარლოს მოიას სახით. თან ამ ესპანელს უმაგაში თამაში არ ეშლება — მოიას ამ ხორვატიულ ქალაქში 4-ჯერ უჩემპიონია. ჰოდა, წლეულს მეექვსე ნომრად განთესილმა ესპანელმა თავის მე-5 უმაგური ტიტულისკენ სვლა ვავრინკას გასილაქებით დაიწყო და შვეიცარიელს 6:3 6:2 მოუგო.

უმაგში მომხდარი ამბებიდან ყველაზე სენსაციური მაინც მესამე ნომერ და ადგილობრივ ფავორიტ ივან ლიუბიჩიჩის წაგება გახლდათ. ხორვატს რეიტინგში ამჟამად 132-ე საფეხურზე მყოფმა რუმინელმა ანდრეი პაველმა გამოუყვანა წირვა.

მეორე წრეში არიან მეოთხე ნომერი დავიდ ფერერი და 2004 წლის ჩემპიონი გილერმო კანასი. პირველმა ვეტერანი თანამემამულე ფელიქს მანტილია დაჯაბნა, არგენტინელმა კი ახალგაზრდა მასპინძელ როკო კარანუსიჩს აჯობა.

ინდიანაპოლისში პირველი ბარიერი წარმატებით დაძლიეს პირველ-მეორე ნომრებმა — ენდი როდიკმა და ჯეიმს ბლეიკმა.

უიმბლდონის მეოთხედფინალში განცდილი დასანანი მარცხის შემდეგ კორტზე პირველად გამოჩენილი როდიკი საკმაოდ დამაჯერებლად გამოიყურებოდა ამერიკის სახელით მოთამაშე ალექს კუზნეცოვთან. მართალია, იანკიბოიმ ყუმბარმტყორცნი ჩვეულად მძლავრად ვერ აამუშავა, მაგრამ, სამაგიეროდ, ძალიან აკურატულად ითამაშა და კუზნეცოვს იოლადაც გადაურა — 6:4, 6:0.

ბლეიკს კი ძალიან გაუჭირდა ტომას იოჰანსონის წაქცევა — შავტუხა ამერიკელმა მხოლოდ ორი საათის თავზე გატეხა ვეტერანი შვედი და ასე წვალებით უწია მეორე წრეს.

ქალებს რაც შეეხებათ, ისინი ამ კვირაში ამერიკულ სტენფორდსა და ავსტრიულ გშტაინში არიან განაწილებულნი. ბობოლათაგან ბევრმა არ იკადრა თავის შეწუხება და ამ ტურნირებზე თამაშს დასვენება ამჯობინა.

ამის მიუხედავად, საინტერესო ორივეგან ხდება. დღეს კი რამდენიმე დღის წინ ანა ჩაკვეტაძისგან გამწარებული ორი მეჩოგნის ჯაზზე მოგახსენებთ — ანასგან ცინცინატის ნახევარფინალში ძლეულმა ინდოელმა სანია მირზამ ფინალში განადგურებულ აკიკო მორიგამის გამარჯვება ძალიან დაძაბულ ბრძოლაში გამოგლიჯა — 4:6 7:5 7:6.

**ბახა ლომჯმილი**



კარლოს მოია

**კოკა კოლას თასი. თბილისი. 23-28 ივლისი**
**ITF-ის კაცთა ტურნირი. ჰარდი. საპრიზო 15000$**

ერთეულები. პირველი წრე

მიხაილ ილგინი (რუსეთი) — კარლეს ლიჯნიქსი (ლატვია) 6:2 6:1
გიორგი ხრიკაძე (საქართველო) — როს კონოლი (დიდი ბრიტანეთი) 3:6 3:6
მიხალ ლიფშიტი (რუსეთი) — რევაზ ოსაძე (საქართველო) 7:5 6:4
გიორგი ჭანტურია (საქართველო) — დანიელ ლუსტიგი (ჩეხეთი) 4:6 2:6
ლადო ჩიხლაძე (საქართველო) — იგორ რუდი (რუსეთი) 3:6 6:1 6:2
მიხალ კარპოლი (ხორვატია) — პიტერ კლარკი (ირლანდია) 2:6 5:7
არუთინ სოფიანი (სომხეთი) — სურამ აბდუკალიმოვი (ყაზახეთი) 2:6 3:6
ივან ანიკანოვი (უკრაინა) — მიტ სიმფსონი (ახალი ზელანდია) 5:7 3:6
ჯეიმს კლუსკი (ირლანდია) — გუი კუბი (ისრაელი) 3:6 7:5 6:2

# ბოლო იმედის ჩიხლაძე
## თბილისურ კორტებს ერთი ქართველიღა შემორჩა




ლადო ჩიხლაძე

**გუშინ** გვარიანად განერვიულა ლადო ჩიხლაძემ. ტურნირზე მესამე ნომრად განთესილი ქართველი ჩოგბურთელი სრულიად უსახელო რუსს იგორ რუდს შეხვდა. რეიტინგითაც და სათამაშო კლასითაც ლადო მართლაც გამორჩეულია წლევანდელ კოკა-კოლას თასზე, მაგრამ იგორ რუდის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან პირველი სეტი დამაჯერებლად მოიგო. თამაშის დასრულების შემდეგ რუსი ჩოგბურთელი მეგობრებს გულდაწყვეტილი ეუბნებოდა, ნეტავ იცოდეთ, როგორ გამიხარდა პირველი სეტი რომ მოვიგეო. მეორე სეტის დასაწყისისთვის თბილისური ზაფხულის პაპანაქება ცოტა მინელდა, რაც მაშინვე შეეტყო ლადოს ბურთაობას, ქართველის დარტყმულები მიზანს იშვიათად სცდებოდა და საბოლოო ჯამში მოწინააღმდეგე 3:6 6:1 6:2 დაამარცხა. შემდეგ თამაშში ჩვენებური ხორვატ პიტერ კლარკს ხვდება და, სავარაუდოდ, მისი ძლევაც არ უნდა გაუჭირდეს.

გუშინ ჩიხლაძის გარდა კიდევ სამი ქართველი ჩაერთო ტურნირში. გიორგი ხრიკაძე დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელ როს კონოლისთან დამარცხდა 3:6 3:6, რევაზ ოსაძე — რუს მიხაილ ლიფშიტთან 5:7 4:6, ხოლო გიორგი ჭანტურიამ თავისი თამაში მეექვსე ნომრად განთესილ ჩეხ დანიელ ლუსტინგთან დათმო, 4:6 2:6. ასევე გაიმარჯვა პირველ ნომრად განთესილმა რუსმა მიხაილ ილგინმა, რომელმაც ლატვიელი კარლეს ლიჯნიკსი გაანადგურა, ანგარიშით 6:2 6:1.

წყვილთა შეჯიბრიდან ბოლო ქართული დუეტიც გამოეთიშა. ჭანტურიამ და ნავროზაშვილმა დაძაბულ ბრძოლაში 7:6 3:6 4:6 წააგეს ბელარუს ალექსი ბესონოვის და ჩერნოგორიელ ანდრეი ციმკის ტანდემთან.

**ზურაბ მიგრიაული**

რაგბი

# ჯეკ ვაიტის 30 ქურციკი

**ახალზელანდიელთა** დამრიგებელ გრემ ჰენრის ორ დღეში სამხრეთაფრიკელთა მწვრთნელმა ჯეკ ვაიტმაც მიბაძა და მსოფლიო თასზე წასაყვან მორაგბეთა გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა. „ქურციკების" ოცდაათკაციან განაცხადში რამდენიმე ოცდაათ წელს გადაცილებული მოთამაშეა შეყვანილი. მათ შორის უთუოდ სახსენებელია ბებერი ხარი ოზ დუ რანდტი, რომელსაც ჯერ კიდევ 1995 წლის მსოფლიოს თასზე უთამაშია და ჩემპიონიც გამხდარა. იგი 35 წლისაა და 127 კილოგრამს იწონის. გუნდშია და „ქურციკების" ერთერთ ლიდერად მოიაზრება 33 წლის პერსი მონტგომერიც. ახალგაზრდებიდან სახსენებელია 20 წლის ფრანს შტეინი და 21-ის ჯეიპი პიტერსენი. ჯეკ ვაიტს მსოფლიო თასს გარეთ ხეირიანი არც ერთი მოთამაშე არ დაუტოვებია.

**ზურაბ მიგრიაული**

საქართველოს რაგბის კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ვეტერანი მორაგბე
**ვანიჩკა ბახტაძე**
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

**სამხრეთ აფრიკა
მსოფლიოს თასზე**

**შერკინება:** (1, 2, 3) ოზ დუ რანდტი, გურთრო სტეენკამპი, სიჯეი ფან დერ ლინდე, ბიჯეი ბოთა, გარი ბოთა, ჯონ სმიტი (კაპ), (4, 5) ბაკიზ ბოთა, ვიქტორ მეტფილდი, იოჰან მულერი, ალბერტ ფან დენ ბერხი; (6, 7, 8) სხალკ ბურხერი, დენი როსოუ, იუან სმიტი, მიკეს ფან ჰეერდენი, ბობი სკინსტადი, პერი სპაისი,

**უკანა ხაზი:** (9), რუან პინარი, ფური დუ პრეეცი, ენრიკო იანუარი; (10), ბაჩ ჯეიმსი, ანდრე პრეტორიუსი, (12, 13) იან დე ვილერსი, ჟაკ ფური, ვაინარდ ოლივერი; (11, 14, 15) ბრაიან ჰაბანა, აკონა ნდუნხანე, ეშვინ ვილემსე, ფრანს შტეინი, ჯეიპი პიტერსენი, პერსი მონტგომერი



პერსი მონტგომერი

# ვალერი ბრუმელი: ქართული გინესით მოპოვებული ოლიმპიური ოქრო

**ეს ამბავი 1964 წელს ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე მოხდა. სიმაღლეზე მხტომელთა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასვლაში რუს ვალერი ბრუმელს თბილისელი ათლეტის რობერტ შავლაყაძის „ლოცვა-კურთხევა“ დაეხმარა“.**

**XVII თამაშების დაწყებამდე ამ სახეობაში ფავორიტად მსოფლიოს რეკორდსმენი, მოსკოველი ვალერი ბრუმელი ითვლებოდა. იმ დროისთვის მას ფანტასტიკური შედეგი — 2,28 მ ეკუთვნოდა, თუმცა სპეციალისტების ნაწილი გამარჯვებას ყველაზე გამოცდილს, ოლიმპიურ ჩემპიონ რობერტ შავლაყაძეს უწინასწარმეტყველებდა. ოთხი წლის წინ, ქართველმა ათლეტმა რომში ოლიმპიური რეკორდით (2.16მ) მოიპოვა ოქროს მედალი და ახლაც ადგილობრივი გაზეთები წერდნენ, „შავლაყაძე-ჩემპიონია-ო“.**





— ტოკიოსთვის მართლაც გაცილებით უკეთ ვიყავი მომზადებული, ვიდრე რომში — იხსენებს რობერტ შავლაყაძე — მართალია, იმ პერიოდისათვის ჩემი საუკეთესო შედეგი ვალერისას 12 სმ-ით ჩამორჩებოდა, მაგრამ საკუთარი თავის მჯეროდა. თუმცა მოხდა გაუთვალისწინებელი რამ — შეჯიბრებებისას გავცივდი და რადიკულიტმა წელი გამიკავა. ხტომებს შორის შუალედში ბრუმელს ვთხოვდი კიდეც მასაჟი გაეკეთებინა, მაგრამ მსაჯები, რომლებსაც ამერიკელი ჯონ თომასის გამარჯვება ჰქონდათ ჩაფიქრებული, უფლებას არ გვაძლევდნენ.

ყველაფრის მიუხედავად საკვალიფიკაციო შეჯიბრებაშიც და ფინალშიც, 2.00 მ-დან 2.12 მ-ის ჩათვლით, ყველა სიმაღლე პირველივე ცდით გადავლახე, ხოლო ვალერი როგორღაც კალაპოტიდან ამოვარდა, ნერვიულობდა და კვალიფიკაციაზეც და ფინალშიც მხოლოდ მესამე ცდით ახერხებდა თამასის დაძლევას.

მე ხან ვამშვიდებდი, ხან ვაგინებდი და ამგვარად მის გამოფხიზლებას ვცდილობდი. ვეუბნებოდი, რომ 2.12 მ მისთვის, მსოფლიოს რეკორდსმენისთვის, სასაცილო სიმაღლეა, რომ მას თავისუფლად შეუძლია ამ თამასაზე გადავლება. ვეჩხუბებოდი, ხან რუსულად, ხანაც ქართულად „ვამკობდი“.

ამასობაში გაწვიმდა, წვრილად ცრიდა და წელიც უფრო ამტკივდა. ვატყობდი, გამიჭირდებოდა პირველობისთვის ბრძოლა. ისიც მახსოვდა, რომ სიმაღლეზე ხტომაში ოლიმპიადა ორჯერ არავის მოუგია, ბრუმელს კი გამარჯვების შანსი ჰქონდა.

2.14 მ მესამე ცდით ძლივს ავიღე და საბოლოოდ მეოთხე შედეგით დავასრულე ასპარეზობა, ხოლო ბრუმელი, ჩემი ქართულ-რუსულ „კურთხევით“, როგორც იქნა, გაიხსნა და ჯერ 2.16 მ-ზე გადახტა, შემდეგ 2.18 მ-იც დაამორჩილა და ოლიმპიური რეკორდით ჩემპიონის ოქროს მედალიც მოიპოვა.

სხვათა შორის ვალერი თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში „სიმაღლე“ წერს კიდეც: „რომ არა რობერტ შავლაყაძის დახმარება, მე ოლიმპიური ჩემპიონი ვერ გავხდებოდი“.

## დანგრეული კედლიდან ხალხთა სპარტაკიადამდე

ვალერი ბრუმელი უნიკალური ათლეტი იყო. 1961-63 წლებში სპეციალისტებმა იგი ზედიზედ სამჯერ მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენად აღიარეს.

ბრუმელის სპორტით გატაცება არაორდინალურად დაიწყო. თორმეტი წლისა რომ იყო, მისი ოჯახი შორეული აღმოსავლეთიდან უკრაინის ქალაქ ვოროშილოვგრადში გადასახლდა. ახალი ამხანაგი ვერ იგუეს თანატოლებმა და ვისაც არ ეზარებოდა, ცემა-ტყეპას არ აკლებდა. ფიზიკურად სუსტ ბავშვს ხშირად დასცინოდნენ კიდეც. ერთხელაც უბნელებმა მორიგი გამოცდა მოუწყეს. თუ დანგრეული შენობის კედელზე აძვრებოდა და წელშიც გაიმართებოდა, მის აბუჩად აგდებას შეეშვებოდნენ. გამწარებულმა ბიჭმაც, თუკი რაიმე სულიერი ძალა ჰქონდა, ყველაფერი მოიკრიბა და წვალებით, დასისხლიანებული აფოფხდა კედელზე. მართალია ფეხზე დადგომა ველარ შესძლო, მაგრამ თანატოლებმა სიტყვა შეასრულეს და აღარ უცემიათ.

ბრუმელის სპორტული ბიოგრაფიაც აქედან იწყება. კუნთების გამაგრების მიზნით ტანვარჯიშის სექციაში ჩაწერა გადაწყვიტა, თუმცა მეტისმეტად სუსტი იყო. ვერც ღერძზე მიზიდვა მოახერხა, ხოლო ბაგირზე ასვლისას სულაც ლეიბზე მოადინა ზღართანი.

მოგვიანებით უფრო „სერიოზული“ სახეობა — ძალოსნობა აირჩია. აქ მწვრთნელმა ახედ-დახედა, ცივად მიუხურა დარბაზის კარი და ბრუმელ-ძალოსნის კარიერასაც იქვე დაუსვა წერტილი.

ზაფხულის არდადეგებზე მშობლებმა პიონერთა ბანაკში გაუშვეს, სადაც ჩვეულებრივი მხიარული ცხოვრება მიმდინარეობდა და მძლეოსნობაშიც მოეწყო შეჯიბრება. აქ ყველასთვის მოულოდნელად ვალერი 1.20 მ. სიმაღლეზე გადახტა და ფიზკულტურის მასწავლებელმა სწორედ მაშინ შეამჩნია ამ „უხეირო“ ბიჭის გრძელი ფეხები.

— „მძლეოსნობაში ივარჯიშებ“, გაამწესა პედაგოგმა მომავალი ჩემპიონი სახტომ სექტორში. ეს იყო პატარა ბრუმელის პირველი გამარჯვება. აღმოჩნდა, რომ თურმე სუსტი და მოუქნელი ახალბედაც შეიძლება ვინმეს აინტერესებდეს.

რამდენიმე თვის შემდეგ მწვრთნელმა ვარჯიშზე გაზეთი მიუტანა, რომელშიც საბჭოთა კავშირის მაშინდელი რეკორდსმენის, იგორ კაშკაროვის ფოტოსურათი იყო.

— ამაზე მაღლა გადახტები — უთხრა მან — მაგრამ იცოდე, სპორტი მხოლოდ გამარჯვებები და მედლები არ არის. სპორტი მძიმე შრომაა და იქ სუსტებს არაფერი ესაქმებათ.

ცამეტი წლის მოზარდმა თითქოს თავის მოწოდებას მიაგნო, თუმცა მალე მწვრთნელ-შეგირდის გზები გაიყარა და ბრუმელმაც დაკარგა ხტომისადმი ინტერესი.

ჯერ სროლაში სცადა ბედი, შემდეგ — ველოსპორტში, ჭადრაკში, კალათბურთში და კიდევ ვინ იცის რა არ მოსინჯა, ვიდრე მოსწავლეთა საქალაქო პირველობაზე 1.35 მ-ით მეორე ადგილი არ დაიკავა. სწორედ იმ დღეს შეიგრძნო პირველად საკუთარი თავის ღირსება და სერიოზულადაც დაიწყო ვარჯიში მძლეოსნობაში. მალე ვალერი ბრუმელმა კიდევ ერთი ვერცხლის მედალი დაისაკუთრა, ოღონდ ამჯერად უკრაინის მოსწავლეთა პირველობაზე.

ნიჭიერი ჭაბუკი სპეციალისტებმაც შეამჩნიეს, კიევში, საწვრთნელ შეკრებაზე მიიწვიეს და იქ საკმაოდ სოლიდური შედეგებიც აჩვენა. 1958 წელს 1.95 მ. გადალახა, მომდევნო სეზონში კი 2 მეტრიც დასძლია.

ახლოვდებოდა სსრკ-ის ხალხთა მეორე სპარტაკიადა. ვალერი ბრუმელი ინტენსიურად ემზადებოდა, მაგრამ თამასის უფრო მაღლა აწევას ვერ ახერხებდა. საკავშირო არენაზე კი პირადი რეკორდით საპრიზო სამეულსაც ვერ მიუახლოვდებოდა. საბოლოოდ ასეც მოხდა. მედალოსნებს იგი მნიშვნელოვნად ჩამორჩა.

იმ სპარტაკიადაზე რობერტ შავლაყაძემ ბევრად უკეთესი შედეგი აჩვენა — 2.11 მ. თუმცა გამარჯვება ვერც მან მოიპოვა, ვერცხლის მედალს დასჯერდა. ბრუმელი და შავლაყაძე სახტომ სექტორში პირველად სწორედ მაშინ გაეჯიბრნენ ერთმანეთს.

— სპარტაკიადაზე ვალერი ბრუმელს სერიოზულ მეტოქედ არავინ მიიჩნევდა. იგი სულ 17 წლის იყო და არც არაფრით გამოირჩეოდა — მიამბობს ბატონი რობერტი — ვალერი უფრო ადრე, ლესელიძის საწვრთნელ შეკრებაზე გავიცანი. ჯერ კიდევ ბავშვი იყო, უკან დამდევდა და მეხვეწებოდა, მასწავლეო. ვერაფრით ვიშორებდი, მისთვის არ მეცალა, თუმცა შემდეგ მაინც ავუხსენი რომელი ვარჯიშები როგორი ინტენსიობით უნდა შეესრულებინა. კიდევ მეკითხებოდა და ისევ იძულებული ვხდებოდი ხელახლა მეჩვენებინა ხტომები. მიუხედავად იმისა, რომ ცხრა წლით უფროსი ვიყავი მასზე, საბოლოოდ დავმეგობრდით კიდეც.

იმავე 1959 წელს ფილადელფიაში აშშ-სსრკ მძლეოსანთა „გიგანტთა მატჩი“ გაიმართა. ბრუმელი საბჭოთა ნაკრებში ვერ მოხვდა. ამერიკაში მე და იური კაშკაროვი გავემგზავრეთ. იმ პერიოდისთვის მატჩის მონაწილეთაგან ყველაზე დაბალი შედეგი მქონდა — 2.13 მ. მასპინძელთაგან კი საუკეთესო, მელბურნის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ჩარლზ დიუმასი გამოდიოდა, რომელმაც სწორედ იმ სეზონში პანამერიკულ თამაშებში იმარჯვა და 2.15 მ-ით ჩემზე და კაშკაროვზე უფრო სოლიდურად გამოიყურებოდა. ამერიკელთა უპირატესობა აშკარა იყო, მაგრამ თუ ზედმეტ ყელყელაობაში არ ჩამომართმევთ, გეტყვით, რომ ქართული ხასიათის წყალობით ის შეჯიბრება მე მოვიგე.

## რომის ბილეთი

ჩვიდმეტი წლის ვალერი ბრუმელისთვის მთავარი მიზანი საბჭოთა ნაკრებში მოხვედრა და რომის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობა იყო. იგი ენერგიის მოზღვავებას გრძნობდა, თავდაუზოგავადაც ვარჯიშობდა, მაგრამ ორ ძელს შორის გადებულ თამასას ვერაფერი მოუხერხა.

მწვრთნელები ხვდებოდნენ, რომ ტექნიკაში მოიკოჭლებდა და ხალხთა მეორე სპარტაკიადის შემდეგ ბრუმელი მოსკოვში, თბილისელ მწვრთნელთან — ვლადიმერ დიაჩკოვთან გაამგზავრეს.



ჯონ თომასი და რობერტ შავლაყაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



რობერტ შავლაყაძის ოქროს ნახტომი

ვლადიმერ დიაჩკოვი ძმასთან, ბორისთან ერთად საქართველოს მძლეოსანთა იმ პირველი თაობის წარმომადგენელია, რომელმაც 1924 წელს პირველებმა მოიპოვეს სსრკ-ის ჩემპიონატის ოქროს მედლები. ამასთან, მრავალმხრივმა ათლეტმა ოთხ სახეობაში იმარჯვა. მოგვიანებით ვლადიმერ დიაჩკოვი მოსკოვში გადავიდა საცხოვრებლად და საბჭოთა მძლეოსნობის ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი გახდა, ხოლო ბორისი მსოფლიოს რეკორდსმენსა და თავისსავე მეუღლეს, ნინო დუმბაძეს ავარჯიშებდა.

სწორედ ვლადიმერ დიაჩკოვის მეთვალყურეობით ბრუმელმა სულ რამდენიმე თვეში მნიშვნელოვნად დახვეწა ტექნიკა და საკუთარ დაბადების დღეს, 1960 წლის 14 მაისს, 205 მ. სიმაღლე გადალახა. ეს უკვე საკმაოდ კარგი შედეგი გახლდათ, თუმცა ქვეყნის მთავარ გუნდში მოსახვედრად და რომის ოლიმპიური საგზურის მოსაპოვებლად მაინც არ იყო საკმარისი.

დასახული მიზნის მისაღწევად მწვრთნელ-შეგირდი ფორსირებულ მზადებაზე გადავიდნენ. შედეგმა არ დააყოვნა, ოლიმპიურ სტარტებამდე ორი კვირით ადრე ბრუმელმა საბჭოთა კავშირის რეკორდი დაამყარა — 2.17 მ. და „მარადიული ქალაქის“ ბილეთიც დაიჯავშნა.

## ბრუმელი შავლაყაძის წინააღმდეგ

— ოლიმპიურ თამაშებს სიმაღლეზე ხტომაში, როგორც წესი, ამერიკელი ათლეტები იმარჯვებდნენ — იხსენებს რობერტ შავლაყაძე — ამჯერადაც ჩვენი მთავარი მეტოქეები ოკეანისგაღმელები იყვნენ. მათგან საუკეთესოს — ჯონ თომასს კი მსოფლიოს რეკორდიც ეკუთვნოდა — 2.22 მ. მე კვლავინდებურად 2.13 მ. მქონდა. ამდენად, ბრუმელს თომასთან პაექრობის უკეთესი შანსები ჰქონდა, თუმცა მეც ჩემსას ვგეგმავდი. ორივენი ფინალში მოვხვდით.

ფინალში თავდაპირველად 2,03 მ. შემოგვთავაზეს მსაჯებმა, შემდეგ სამ-სამ სანტიმეტრს უმატებდნენ, ხოლო ბოლოს ორ-ორს. მე მშვიდად ვაკონტროლებდი ჩემ თავს და პირველივე შანსს ვიყენებდი, ბრუმელს კი დამატებითი ხტომები დასჭირდა, თუმცა 2.14 მ. მანაც გადალახა. წარმატებით აგრძელებდნენ ასპარეზობას ჯონ თომასი და ვალერი ბოლშოვიც.

ბოლო წინაღობა 2.16 მ. გამოდგა. ისევ პირველივე ცდაზე გადავლაზე თამასა და ოლიმპიური რეკორდიც დავამყარე. ჩემი შედეგი გაიმეორა ვალერიმაც, ხოლო თომასი და ბოლშოვი გამოეთიშნენ პირველობისთვის ბრძოლას. საბოლოოდ ჩემპიონის ოქროს მედალი მე მოვიპოვე, ვინაიდან ბრუმელზე ნაკლები ცდები დამჭირდა, ხოლო 18 წლის ვალერისთვის ვერცხლის ჯილდოც დიდი წარმატება იყო.

## ღორის სუკები ნიკიტა ხრუშჩოვისთვის

რომის ოლიმპიური თამაშების შემდეგ მსოფლიოს რეკორდი ისევ ჯონ თომასს ეკუთვნოდა — 2.22 მ. ვალერი ბრუმელის ოცნებაც ამ შედეგის გაუმჯობესება გახდა.

ოლიმპიადიდან ორიოდე თვეც არ იყო გასული, რომ რუსმა მძლეოსანმა კიდევ ოთხი სანტიმეტრით აწია თამასა და ევროპის რეკორდიც დაამყარა — 2.20 მ. ორად-ორი სანტიმეტრი აშორებდა მას მსოფლიოს რეკორდამდე, თუმც აშშ-ში ამ ქვეყნის ღია ჩემპიონატში მონაწილეობისთვის ისე გაემგზავრა, დასახულ მიზანს ვერ მიაღწია.

ოკეანისგაღმა მან ზედიზედ ოთხჯერ დაამარცხა თომასი და პირველი უცხოელიც შეიქნა, ვინც აშშ-ის ჩემპიონატში იმარჯვა. მოგვიანებით ჩანაფიქრიც აისრულა, როდესაც 1961 წლის მოსკოვის ჩემპიონატზე 2.23 მ. გადალახა. ახლა უკვე საბჭოთა სპორტსმენი იყო მსოფლიოს რეკორდსმენი.

სწორედ 1961 წლის მაისში თბილისს საბჭოეთის ქვეყნის ნომერ პირველი ჩინოსანი — ნიკიტა ხრუშჩოვი სტუმრობდა. რესპუბლიკის პარტაქტივის კრება ჩვენი დედაქალაქის სპორტის სასახლის გახსნას „დაემთხვა“. ქვეყნის ალმშენებლობასა და სპორტში მიღწეული ბოლო წარმატებების ფონზე ერთობ კმაყოფილი მოსკოველი ბოსი მასპინძლებმა სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზეც მიიწვიეს და ქართული ღვინითაც ასიამოვნეს.

— იმ დროს ლესელიძეში ვიყავი საწვრთნელ შეკრებაზე და ხრუშჩოვთან შესახვედრად სპეციალურად ჩამომიყვანეს თბილისში — მიამბობს რობერტ შავლაყაძე — სახლში მისვლაც არ მაცალეს და პირდაპირ გამოფენაზე გამაქანეს სადაც საქართველოს ცკ-ის პირველი მდივანს ვასილ მჟავანაძეს საპატიო სტუმრისათვის პატარა ფაცხაში სუფრა უკვე გაეშალა.

ხრუშჩოვს ჩემი თავი წარუდგინეს და მანაც კიდევ ერთხელ გაიხარა საბჭოთა სპორტსმენების ოლიმპიური გამარჯვებებით.

სუფრას მივუსხედით, ყველა მხიარულობდა და ამ დროს, ზუსტად აღარ მახსოვს, ვინ იყო, მჟავანაძის მძღოლმა თუ დაცვის ერთ-ერთმა წევრმა, ღორის სუკების აშიშხინებული მწვადები შემოიტანა. იგი პირდაპირ ნიკიტა ხრუშჩოვისკენ გაემართა და თან, ალბათ მწვადის სურნელით გაბრუებულმა, სკკპ ცკ-ის პირველ მდივანს გულწრფელად მიმართა, „კუშაიტე სუკი“

არ ვიცი ნიკიტა რამეს მიხვდა თუ არა, მაგრამ ის კაცი კი ერთ წამში გააქრეს იქიდან.

## ფანტასტიკური ნახტომი

მიუხედავად იმისა, რომ ვალერი ბრუმელი და რობერტ შავლაყაძე მეგობრები იყვნენ, რუს მძლეოსანს მაინც ერთგვარი შიში ჰქონდა ქართველი ათლეტისა. ყოველ შემთხვევაში, სახტომ სექტორში მათი პაექრობა პრაქტიკულად ყოველთვის შავლაყაძის გამარჯვებით მთავრდებოდა და ამას თავად ბრუმელიც აღიარებდა, თუმცა იყო გამონაკლისიც — 1961 წელს ბრუმელმა, თბილისში გამართულ საკავშირო ჩემპიონატზე იმარჯვა, როდესაც ჩვენებურმა ტრავმის გამო ვეღარ დაასრულა ასპარეზობა, მოსკოველმა კი სსრკ-ის ჩემპიონის პირველი ოქროს ჯილდო დაისაკუთრა.

ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზე ვალერი ბრუმელმა ოლიმპიური რეკორდით გაიმარჯვა, მაგრამ მოგვიანებით იმავე 1964 წელს კიევში გამართულ საკავშირო ჩემპიონატზე კვლავ თბილისელმა „მოსიმაღლემ“ მოიპოვა პირველობა.

როგორც ჩანს, ბრუმელს თამასაზე მეტად „შავლაყაძის“ ფსიქოლოგიური ბარიერის გადალახვა უჭირდა. თავისი ფანტასტიკური ნახტომიც — 2.28 მ. მან სწორედ ამ ბარიერის მოხსნის შემდეგ შეასრულა.

— ვალერის ხშირად უთქვამს ჩემთვის, რობერტ, მე შენი მეშინია, როცა შეჯიბრებაზე შენც გამოდიხარ, მე ხტომები აღარ გამომდის. თავისი ბოლო მსოფლიოს რეკორდიც მან მოსკოვში, სსრკ-აშშ მძლეოსანთა სამატჩო შეხვედრის დროს დაამყარა. ლუჟნიკების სტადიონზე მაშინ მეც გამოვდიოდი. 2.11 მ-მდე თავისუფლად ვხტებოდი, ბრუმელს კი შიში ეტყობოდა. მაშინ წიდიან საფარზე იმართებოდა ასპარეზობები. ერთ-ერთი არეკნისას ფეხი მომიცურდა და მხარი ამომივარდა. ბუნებრივია, შეჯიბრებას გამოვეთიშე.

ამის შემდეგ საოცარი რამ მოხდა. ვალერი, რომელიც მანამდე ყოველ სიმაღლეს მეორე-მესამე ცდით იღებდა, გაიხსნა და მსოფლიოს რეკორდიც (2.28 მ.) პირველივე გადავლებით დაამყარა. გახარებული ჩემსკენ მორბის და მეუბნება: „რობერტ, გმადლობთ, შენ რომ არ გამოვარდნილიყავი შეჯიბრებიდან, მე მსოფლიოს რეკორდს ვერ დავამყარებდი“.

## ტრაგედია

ვალერი ბრუმელი თავისი ეპოქის უდიდესი სპორტსმენი იყო. გასული საუკუნის 60-იან წლებში მან ზედიზედ ექვსჯერ გააუმჯობესა მსოფლიოს რეკორდი, მისი ბოლო მიღწევა კი იმ დროისთვის ფანტასტიკურ შედეგად ითვლებოდა.

დღეს ვეღარავინ იტყვის — შესძლებდა თუ არა იგი თამასის უფრო მაღლა აწევას, ყოველ შემთხვევაში, ძალიან უნდოდა პირველს გადაელახა 2.30 მ-იანი ზღვარი, მაგრამ ბრმა შემთხვევამ ეს ოცნება აუხდენელი დატოვა...

ვარჯიშის შემდეგ შინ ბრუნდებოდა. მოტოციკლს თანაკურსელი გოგონა მართავდა. ნაწვიმარ ქვაფენილზე, მოსახვევში უკანა ბორბალი მოსრიალდა და ვალერი მთელი ძალით რკინაბეტონის ბოძს შეასკდა...

იმ ღამეს ცნობილმა დასტაქარმა ივან კუჩერენკომ სკლიფასოვსკის ინსტიტუტში დამსხვრეული მარჯვენა ფეხი შეაკოწიწა. სხვა ბრუმელის ადგილას ამითაც კმაყოფილი იქნებოდა, მას ფეხი შეუნარჩუნეს, მაგრამ მსოფლიოს რეკორდსმენს ხტომა უნდოდა.

ოპერაციას ოპერაცია მისდევდა, თეთრად გათენებულ ღამეებს — უიმედობა, ფიქრები, რომ ის აღარავის სჭირდება. მეუღლემაც მიატოვა და მეგობრებიც სულ უფრო იშვიათად აკითხავდნენ. თანდათან სულ უფრო აუტანელი ხდებოდა იოდის სუნით გაჟღენთილი პალატის ჭერის ყურება.

მაგრამ ვალერი ბრუმელს მებრძოლის ხასიათი ჰქონდა, როგორც მაშინ, ბავშვობაში, როცა დანგრეულ კედელზე აცოცდა. ამჯერად მისი ოცნება სახტომ სექტორში დაბრუნება იყო და დაბრუნდა კიდეც! 70-იან წლებში თბილისის სპორტის სასახლეში, თავისი უფროსი მეგობრის რობერტ შავლაყაძის სახელობის პრიზის გათამაშებებშიც მონაწილეობდა და ორმეტრიანი სიმაღლეც დაძლია...

მე სპორტში იმისთვის მოვედი, რომ ძლიერი გავხდე, ამბობდა ბრუმელი. იგი ღირსეული სპორტსმენი იყო, ზედიზედ სამჯერ მსოფლიოს საუკეთესო ათლეტად ისე არავის აღიარებენ. იგი სპორტიდანაც ღირსეულად წავიდა, თუკი წავიდა საერთოდ. ასეთები სამუდამოდ რჩებიან სპორტის ისტორიაში.

ვალერი ბრუმელმა ცხოვრებაშიც გამარჯვებულმა დატოვა წუთისოფელი. უკვე თმაშევერცხლილი ხელახლა დაოჯახდა, ვაჟიშვილს კი ვიქტორი — გამარჯვებული დაარქვა.

**გოგი ფრანგიშვილი**

## 94-ე ტურ დე ფრანსი 7-29 ივლისი

# მიქაელ რას-მმუსვრელი



**მორჩა.** გუშინდელი, წლევანდელ „ტურ დე ფრანსზე“ ბოლო სამთო ეტაპის შემდეგ ალბათ ყველაფერი ნათელი გახდა — წლეულს მიქაელ რასმუსენი ყველაზე ძლიერია და რაღაც სასწაული უნდა მოხდეს, დანიელმა შაბათის ინდივიდუალურ რბოლაში ამხელა უპირატესობა რომ გაფლანგოს.

მეორე ადგილზე მყოფ ესპანელ ალბერტო კონტადორს „რაბობანკის“ მრბოლი 3 წუთსა და 10 წამს უგებს და ესპანელი ამხელა ჩამორჩენის აღმომფხვრელი ნამდვილად არ არის, ინდივიდუალური რბოლის ავსტრალიელი ოსტატი კედელ ევანსი კი ლიდერს 5 წუთზე მეტით ჩამორჩა და ამ სხვაობის გაბათილება წარმოუდგენელია.

გუშინ რასმუსენმა ურთულეს პირენეულ ეტაპზე ბრწყინვალე სტილში იმარჯვა. შარშანწინ და შარშან დანიელი თითო ეტაპს იგებდა „ტურზე“ და ეს სავსებით საკმარისი იყო საუკეთესო სამთო მრბოლის სახელის მოსაპოვებლად. როდესაც დანიელი ალპებში, წლევანდელი „ტურის“ პირველ სამთო ეტაპზე გაიქცა და ფინიშთან უზარმაზარი უპირატესობით მივიდა, ითქვა, წლეულსაც ის იქნება მთის მეფეო, მაგრამ რასმუსენი ამით არ დაკმაყოფილდა. უფრო სწორად, საუკეთესო მთიელის სარგო წითელწინწკლებიან მაისურას მან გაცილებით ძვირფასი, ყვითელი მაისურა არჩია და არც შემცდარა — გუშინდელი გამარჯვების შემდეგ მის სიძლიერეში ეჭვი აღარავის ეპარება.

უმაღლესი, მესამე, პირველი, კიდევ პირველი კატეგორიის უღელტეხილები და ბოლოს ფინიში აღმართში, ასევე უმაღლესი კატეგორიის მწვერვალ დობისკიზე. აი, ასეთი ურთულესი იყო გუშინდელი ეტაპი. CSC-ის ესპანელი ლიდერი კარლოს სასტრე პირველივე მთაზე გაიქცა რამდენიმე მრბოლთან ერთად და ბოლო აღმართის შუამდე ლიდერობდა კიდეც. სასტრე რასმუსენთან საერთო ჩათვლაში ექვსწუთნახევარს აგებდა და გუშინ, რაღაც მომენტში, ესპანელი ზუსტად ამდენით უსწრებდა რასმუსენის ჯგუფს, ანუ იმ წუთისთვის გენერალურ კლასიფიკაციაში ისინი ტოლად იყვნენ. ეს თანაფარდობა „რაბობანკმა“ არ დაუშვა — პელოტონს თავში მიქაელ ბოგარდი, დენის მენშოვი და ტომას დეკერი ჩაუდგნენ, რასმუსენი უკან ამოიყენეს და ექსპრესი დაიძრა.

ამ ექსპრესს გზაზე შემადგენლობა კი გაუთხელდა და თავად რასმუსენის საჭურველმტვირთავებიც გზადაგზა ეცემოდნენ, მაგრამ მათ იმდენი შეძლეს, რომ თავიანთი ლიდერი მოწინავე ჯგუფს დააწიეს.

მთავარი, მაინც შემდეგ იყო. სასტრეს გენერალური კლასიფიკაციის ოთხმა მოწინავემ ერთად გაასწრო — რასმუსენმა, კონტადორმა, ევანსმა და კონტადორის თანაგუნდელმა ლევი ლეიფჰემერმა. ანუ, რასმუსენი უმცირესობაში აღმოჩნდა ორი „დისქავერელის“ წინაალმდეგ და დაიწყო იერიშები, რომლებსაც კონტადორი და ლეიფჰემერი მორიგეობით ახორციელებდნენ. რასმუსენმა ყველა იერიშს უპასუხა და ამასობაში ევანსმა ვეღარ გაუძლო ტემპს. წინ სამნი დარჩნენ, მაგრამ „დისქავერის“ მრბოლებს აღარ ჰქონდათ იმის ძალა, დანიელისთვის გადამწყვეტი დარტყმა მიეყენებინათ. პირიქით — ბოლო კილომეტრზე თავად რასმუსენი გაიქცა წინ და ლეიფჰემერს 26, ხოლო კონტადორს 35 წამი მოუგო.

ამ ტიტანურ ბრძოლაში რასმუსენმა წითელწინწკლებიანი მაისურა კოლუმბიელ ხუან მაურისიო სოლარის დაუთმო, ვინც მთელი გზა სასტრეს ჯგუფში იყო და პირველი ადიოდა მწვერვალებზე, მაგრამ დანიელი ამას, ალბათ არ ნაღვლობს. კი, ორი მაისურა ერთად ბრწყინვალე იქნებოდა, მაგრამ ყვითელი უფრო ძვირფასი კი არა, საერთოდ შეუფასებელია და მიქაელ რასმუსენი ძალზე ახლოს არის იმასთან, რომ კვირას პარიზში ამ ყვითელ მაისურაში გამოწყობილი შევიდეს.

„ასტანა“ კი უკვე სახლშია და პელოტონში ამას არც ნაღვლობენ. „ვინოკუროვი ჩავარდა? ძალიანაც კარგი, დასასჯელი უნდა დაისაჯოს!“ — ასეთია მრბოლთა საერთო აზრი. ბრიტანელმა დევიდ მილარმა სულაც ასე თქვა, მადლობა ღმერთს, ეგ ცხვირაწეული რომ დაისჯება. სულელურად მოიქცა და უზარმაზარი შეცდომა დაუშვაო.

რიგით 94-ე „ტურ დე ფრანსის“ დასრულებამდე კი ოთხი დღე და ოთხი ეტაპიღა დარჩა — დღეს და ხვალ ველოსიპედისტებს ორი ბარის ეტაპი აქვთ გასავლელი, შაბათს კონიაკიდან ანგულემამდე 56-კილომეტრიანი ინდივიდუალური რბოლაა და კვირას კი პარიზი, ელისეს მინდვრები და ფინიშია.

### მე-16 ეტაპი. ორტე-დობისკის მთა. 218 კმ

| | |
|---|---|
| 1. მიქაელ რასმუსენი (დანია, „რაბობანკი") | 6სთ 23წთ 21წმ |
| 2. ლევი ლეიფჰემერი (აშშ, „დისქავერი") | +26წმ |
| 3. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, „დისქავერი") | +35წმ |
| 4. კედელ ევანსი (ავსტრალია, „ლოტო") | +43წმ |
| 5. ხუან მაურისიო სოლარი (კოლუმბია, „ბარლვორლდი") | +1წთ 25წმ |

### საერთო ჩათვლა

| | |
|---|---|
| 1. მიქაელ რასმუსენი (დანია, „რაბობანკი") | 76სთ 15წთ 15წმ |
| 2. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, „დისქავერი") | +3წთ 10წმ |
| 3. კედელ ევანსი (ავსტრალია, „ლოტო") | +5წთ 3წმ |
| 4. ლევი ლეიფჰემერი (აშშ, „დისქავერი") | +5წთ 59წმ |
| 5. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) | +9წთ 12წმ |
| 6. აიმარ სუბალდია (ესპანეთი, „ეუსკალტელი") | +9წთ 39წმ |
| 7. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, „კაისე დეპარნი") | +31წთ 28წმ |
| 8. კიმ კირხენი (ლუქსემბურგი, „T-მობაილი") | +14წთ 46წმ |
| 9. იაროსლავ პოპოვიჩი (უკრაინა, „დისქავერი") | +16წთ |
| 10. ხუან მაურისიო სოლარი (კოლუმბია, „ბარლვორლდი") | +16წთ 41წმ |

# ვინო ვამპირის სახელით წავიდა

## ასტანა სისხლში ჩაიძირა



**ალექსანდრ ვინოკუროვი** გუშინწინ დოპინგის ხმარებაზე ჩავარდა. ყაზახური გუნდის „ასტანას“ ლიდერს სისხლში ორი სახის ერითროციტები, წითელი ბურთულები აღმოუჩინეს და თუ განმეორებითმა ტესტმაც იგივე დაამტკიცა (ამის დიდი შანსი არსებობს), ყაზახ ველომრბოლს ტრანსფუზიაში დასდებენ ბრალს, ანუ ეგრეთ წოდებული „სისხლის დოპინგის“ ხმარების მოტივით სულ ცოტა 2 წლით აეკრძალება ოფიციალურ ტურნირებში მონაწილეობა. ვინოკუროვი ახლა 33 წლის გახლავთ და ეს სანქცია მას საბოლოოდ დაუნგრევს კარიერას. მას ამაზე მაშინ უნდა ეფიქრა, როდესაც სხვის სისხლს ისხამდა და ასე აძლიერებდა საკუთარი ორგანიზმის შესაძლებლობებს.

ვინოკუროვს სისხლის ანალიზი აუღეს შაბათს „ტურ დე ფრანსზე“ საეჭვოდ დიდი უპირატესობით მოგებული ეტაპის შემდეგ. შაბათს ყაზახმა 54-კილომეტრიან ინდივიდუალურ რბოლაში უახლოეს კონკურენტებს წუთზე მეტით აჯობა. რბოლის შემდეგ მას დოპინგტესტი აუღეს და რამდენიმე დღის შემდეგ პასუხიც დადებითი ამოვიდა. დოპინგის ეს სახეობა 2004 წლის შემდეგ აღმოაჩინეს, „სისხლის დოპინგი“ დღემდე ყველაზე ძნელად მოსაკვლევ სტიმულატორად ითვლება, მაგრამ ამ შემთხვევაში იმდენად დიდი ხმაური ატყდა, რომ ნაკლებსავარაუდოა, ვინოკუროვმა ამ სკანდალიდან მშრალი გამოვიდეს.

ისე, ყაზახმა მრბოლმა უკვე დაიწყო ბანალური სახით და ფრაზებით საუბარი იმის თაობაზე, რომ ის აბსოლუტურად უბრალოა ამ საქმეში, შეუძლებელია მის სისხლში რაიმე აკრძალული აღმოჩენილიყო და მისთანები:

„ეს შეცდომაა, არასდროს მიმიღია დოპინგი, რადგან ეს ჩემთვის მიუღებელია. გუნდის ექიმსაც ველაპარაკე და ვკითხე, საიდან შეიძლებოდა აღმოჩენილიყო სხვისი სისხლი ჩემს ორგანიზმში — ამბობდა ვინოკუროვი, შემდეგ კი მან მამამისიც ახსენა და ხუმრობაც სცადა — ამბობენ, რომ მე მამაჩემის სისხლი გადავისხი. ეს მტკნარი სიცრუეა, რადგან მაშინ ჩემს სისხლში ავტომატურად უნდა გაჩენილიყო ალკოჰოლის ძლიერი კვალი“.

ვინოკუროვის მიერ სისხლიანი დოპინგით მამაძაღლობა სხვებზეც აისახება. „ასტანას“ ლიდერმა ფაქტობრივად თავის გუნდიც დაღუპა, რადგან ეს სკანდალით ჯერ კარგად აგორებულიც არ იყო, რომ „ასტანამ“ მთელი გუნდი მოხსნა შეჯიბრიდან. არადა, გუნდის შემადგენლობაში ბევრი მძლავრი მრბოლი იყო, თუნდაც გერმანელი ანდრეას კლოდენი, რომელიც საერთო ჩათვლაში მყარ მეხუთე საფეხურზე იდგა და „ტურ დე ფრანსის“ მოგების ნაკლები და სამეულში მოხვედრის რეალური შანსი ჰქონდა. მერვე გახლდათ ანდრეი კაშეჩკინი და საერთო ჩათვლაში ისიც უსწრებდა გუნდის გაუსაჩივრებელ ლიდერად დასმულ ვინოკუროვს, რომელიც ტურზე ეტაპებს იმდენად განსხვავებული ტემპით და ხალისით გადიოდა, რომ თუ ვინმეზე მიიტანდი დოპინგ-ეჭვს, პირველ რიგში სწორედ მასზე. შაბათის ინდივიდუალური, სწორედ იმ დოპინგიანი ეტაპის მოგების შემდეგ ეტაპზე ვინოკუროვი მთლად გაოჩნდა და ძლივს იძვროდა. რაც ასევე მიანიშნებს დოპინგზე — ნებისმიერი სახის სტიმულატორის ხმარება ხომ ორგანიზმს ჯერ ენერგიას აზღვავებს, შემდეგ კი ერთბაშად ფიტავს და უქვეითებს შრომისუნარიანობას.

ამასობაში კი ვინოკუროვი ხალხმა „ტურ დე ფრანსიდან“ და ვინ იცის საერთოდ ველორბოლიდან ახალი მეტსახელით გააცილა — „სისხლისმსმელი ვამპირი“.

**კოტე ყორშია**


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge